№ 37
(11084)
14 – 16 მაისი, 1997 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




ძიუდო • თავისუფალი ჭიდაობა • ევროპის ჩემპიონატები

# ძიუდოს გამოცანად ნუ ვაქცევთ


გიორგი ვაზაგაშვილი

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმაც ამ დღეებში მოისტუმრა ევროპის ჩემპიონატი. გუნდი ბელგიიდან (ქალაქი ოსტენდემი), უკვე შინ დაბრუნდა და ამ „ლომთა ამქრიდან“ მხოლოდ ორ მათგანს ედო ჯიბეში ჩემპიონატის მედალი: გიორგი ვაზაგაშვილს (71 კგ) – ოქროსი, გიორგი რევაზიშვილს (65) – ვერცხლისა. როგორც ადრე ვიუწყებოდით, მთავარ იმედს დავით ხახალეიშვილს ხელი ამჯერადაც მოეცარა, იგივე ბედი ეწია ჩვენს მეორე ოლიმპიელს სოსო ლიპარტელიანს. ერთი სიტყვით, კონტინენტის ფალავანთა რისხვას ჩვენ ახლა აღარ წარმოვადგენდით და, ღმერთმა ნუ ქნას, მეტოქეთა თვალში ეს ჩვენს დროებით წაფორხილებად არ დარჩეს. ისე, დაფიქრება და განსჯა ნამდვილად გვმართებს. ახლა, უკვე დროა სერიოზულად გავაანალიზოთ ყველაფერი. თორემ უკვე მტკიცედ მკვიდრდება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ან თავს ვიტყუებთ ან ისე შენიღბულად გვაცურებენ, რომ ხელშესახები საბუთიც არ გვრჩება ბრალდების წასაყენებლად, არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ეს ეჭვები თვით ზოგიერთი სპორტსმენიდან მოდის, მაგრამ, რა ვქნათ, როცა ატლანტიდან (სხვათა შორის ახლა ჩანს, რომ ალბათ მანამდეც) მოყოლებული რაღაც უცნაური ამბები ხდება და ამაში სულაც არ არის (ჩვენი აზრით) დამნაშავე მწვრთნელთა შემადგენლობა. იქნებ მართლა ღირს ყველაფერზე სერიოზული დაფიქრება, რომ იმედების ასეთმა ულმობელმა მსხვრევამ და ფუჭმა მოლოდინმა ძალიან ღრმად არ შეგვატოპინოს.

ნათქვამია, ერს, რომელ საც ზნეობრივი გმირი არ ჰყავს, უნდა გამოიგონოსო. ცხადია, რაც იგულისხმება. დღეს ქართულ სპორტს, კერძოდ, ჩვენს ფეხბურთს აღარ ჰყავს 16-20 წლის წინანდელი თბილისის „დინამოს“ სადარი გუნდი. მაგრამ მაგალითისა და მიბაძვისთვის, გნებავთ, სტიმულისთვის, გამოგონება და ფანტაზიის მოხმობა არ გვჭირდება – გვყავდა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა მძლეველი გუნდი და ჩვენზე დიდი და ღონიერი ბევრი ქვეყნისთვის ეს მიუწვდომელი ოცნება – თასების თასის დასაკუთრება, სრულიად საკმარისი უნდა იყოს იმ მართლაც ბრწყინვალე გუნდის მემკვიდრეებისთვის და არა მხოლოდ მ ათთვის.


16 წლის წინათ. თბილისში გაგრძელებული ზეიმი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.


გიორგი რევაზიშვილი

## ნანა ყაზარაშვილმა ვარჯიში დაიწყო

როგორც შევიტყვეთ, წყალში ხტომაში ქართველმა ოლიმპიელმა გოგონამ ნანა ყაზარაშვილმა, რომელიც დიდხანს მკურნალობდა ტრავმას, ვარჯიში განაახლა – ჯერ დარბაზში, მალე კი სახტომ აუზში გადაინაცვლებს.

საააგენტო გუმათი

## დოსააფის მემკვიდრეები იკრიბებიან

17 მაისს, 12 საათზე მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის, 52) მოწვეულია საქართველოს თავდაცვითი სპორტულ-ტექნიკური საზოგადოების აღდგენა-დაფუძნების ყრილობა.

როგორც ვარაუდობენ, ყრილობაზე ბევრი რამ გაირკვევა, მათ შორის პასუხი გაეცემა ბრალდებებსაც, რომელზედაც ბოლო ხანებში ასე ბევრს ლაპარაკობენ...

გამოიწერეთ
ლელო

რედაქტორის სვეტი

# კიკაბაძე-გალდავა-სალარაძის ტრიო – საყურადღებო სიახლე

სპორტმა კარგა ხანია მეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე დაყრდნობით შორს გადასწია ადამიანის შესაძლებლობების ზღვარი. ძიება და პროგრესი გრძელდება, ოღონდ, სსრკ და გდრ, რომლებიც ამ სფეროში მიღწეული შედეგებით უდავოდ ფავორიტები იყვნენ და სპორტულ სარბიელზე მოპოვებული წარმატებებითაც ამას ადასტურებდნენ, ამოიშალნენ მსოფლიოს სპორტული რუკიდან და „სპორტსმენთა ფაბრიკული მზადების“ ეპოქასაც წერტილი დაესვა.
მაგრამ რამ შეავსო ვაკუუმი, გაჩნდა თუ არა სიახლეები, საით მიდის დღეს, საერთოდ, სპორტული მეცნიერება?
ყველაფერი თავისი გზით მიდის, ოღონდ ყოფილი სოცბანაკია შოკში და კაცმა არ იცის, როდის გაუტოლდება მეორე სამყაროს, რომელთანაც ის ათწლეულებით იყო დაპირისპირებული.
საქართველოშიც აღარ მუშაობს და ოდინდელი გაქანებით დღევანდელ პირობებში ვერც იმუშავებს სამეცნიერო-კომპლექსური კომისია, რომელიც სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს უყრიდა თავს სპორტსმენთა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენაში დასახმარებლად.
კარგა ხანია ვაკვირდებით ერთ სიახლეს, რომელიც მეტნაკლებად სწორედ ზემოაღნიშნული ვაკუუმის შევსების ახალ მიმართულებად გვეჩვენება. ლაპარაკია მწვრთნელთა შეხმატკბილებულ მუშაობაზე, რომელიც, როგორღაც, ჰგავს ასევე წარსულში ცნობილ (მეტწილად ცურვაში) ბრიგადულ სისტემას, მაგრამ ეს მსგავსება გარეგნულია მხოლოდ, შინაარსით კი სრულიად ახლებური. თქვენს ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალისტთა სამეულის – შოთა კიკაბიძის, გიგა გალდავას, გურამ სალარაძის ერთობლივ ძალისხმევაზე, რასაც ისინი ეწევიან თავისუფალ ჭიდაობაში დღევანდელი ჩვენი ფალავანთა ფალავნის ელდარ კურტანიძის სპორტული წარმატებებისათვის. პირველი ორი – მწვრთნელია. გ. სალარაძე – მწვრთნელ-კონსულტანტი.
აი, ამ სამკაციანმა ჯგუფმა დაუდო სათავე სპეციალისტთა და სპორტსმენთა თანამშრომლობის თავისებურად, პროგრესულ მეთოდს, რომელიც უთუოდ იმსახურებს ყურადღებასა და განზოგადებას, ცხადია, არა მხოლოდ მოჭიდავეთა მომზადებაში.
მაშ, ფართო გზა შინაარსით ახალ თაოსნობას.

* * *

ის, რაც ზემოთ ითქვა, თავისუფალ ჭიდაობაში ვარშავაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში ელდარ კურტანიძის ბრწყინვალე წარმატებამ გვიკარნახა. კონტინენტის ჩემპიონი ისე გახდა, რომ არც ერთი ქულა არ დაუთმო მეტოქეს – საარაკო საქმეა. ელდარმა ყველა შეხვედრა მშრალი ანგარიშით მოიგო და სოხუმელმა ფალავანმა მართლაც, რომ სასწაული მოახდინა.

საგულისხმოა ისიც, რომ ადრე ელდარი გამოდიოდა 90 კგ წონაში, ახლა 90 და 100 კგ წონები შეიცვალა და გახდა 85 და 97. ელდარი 97 კგ. წონით კატეგორიაში გადავიდა და ახლა ევროპის ჩემპიონატზე ფაქტობრივად ახალ ძალებთან უხდებოდა ჭიდილი, მაგრამ, რაც მთავარია, ყველაფერი წარმატებით დასრულდა.

ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიპოვა კიდევ ერთმა ჩვენმა ფალავანმა გორელმა დავით პოლოსიანმა (58 კგ). საქართველოს ნაკრების სხვა წევრებიდან გოჩა კირკიტაძე (54) მეშვიდე იყო, ემზარ ბედინეიშვილი (69) – მეცხრე, მამუკა ფრჩწუაშვილი (125) – მერვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიადა-97

# კარატისტების ილეთს დღემდე ნოკდაუნში ჰყავს მოკრივეები

ასეთი რანგის ორთაბრძოლები, როგორიც რესპუბლიკური უნივერსიადის მოკრივეთა ტურნირი გახლდათ, უდავოდ უკეთეს ანტურაჟს იმსახურებდა და არა ისეთ იავარქმნილ და დარბეულ სარბიელს, როგორიც ვერის პარკში მდებარე „შევარდენის" კრივის დარბაზია. მას სულ ახლო წარსულში გადაუჭარბებლად უწოდებდნენ ამ სახეობის ცენტრს, რის გამოც, იგი პირველყოვლისა თვით კრივს უწევდა დიდ პროპაგანდას, საწვრთნელი იარაღებითა და სხვა თვალსაჩინოებით. დღეს კი, იმ უამრავი „ტომრებიდან" და „მსხლებიდან" ერთიც კი არ შერჩენია დარბაზს, რომელიც თავლას დამსგავსებია. *ყველაფერი ეს იმ კარატისტების ნამუსზეა, რომლებიც შეიჭრნენ ამ დარბაზში და, რომ იტყვიან, ქვა ქვაზე არ დატოვეს.* მოკრივეები ნორმალური სავარჯიშო პირობების აღდგენას ითხოვენ, მაგრამ, მოგცლიათ? არადა, იქ ხომ, თავის დროზე ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და მსოფლიო პირველობების პრიზიორები და გამარჯვებულები იზრდებოდნენ (!)...

რაც შეეხება საუნივერსიადო შეხვედრებს, იგი ახალი საერთაშორისო რეგლამენტით ჩატარდა — ხუთი ორ-ორ წუთიანი რაუნდი. ამ სიახლეს უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია ბრძოლის ხარისხზე , მაგრამ აი, თვით ასპარეზობა, როგორც ვთქვით, მეტ პატივს იმსახურებდა.

განსაკუთრებით გამოვყოფდით თსუ-ს სტუდენტს, ქვესაშუალო წონის გიორგი კაპანაძეს, რომელმაც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის (ფასა) წარმომადგენელ ზურაბ ბაზაძესთან ფინალურ ბრძოლაში პირველი ორი რაუნდი დათმო, მაგრამ მომდევნო რაუნდში ოსტატურად გარდატეხა ბრძოლა და აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა. ასპარეზობის სიურპრიზი გახლდათ თელავის პედინსტიტუტის მოკრივეთა წარმატება, რომლებმაც თითქმის ყველა „ნომინაციაში" მოიპოვეს საპრიზო ადგილები.

ჰვარცხლბეკი

*48 კგ:* 1 კობა აივაზაშვილი (სტუ).

*58 კგ:* 1. კობა ჩანკვეტაძე. (ფასა) — პირველ ორ წონაში მოკრივეებს გამარჯვება მიეკუთვნათ უბრძოლველად.

*54 კგ.* 1. მიხეილ შიუკაშვილი (თელავის პედინსტიტუტი), 2. ზურაბ ნოზაძე (სტუ), 3. ნიკო ჯანჯღავა (თსუ).

*57 კგ:* 1. ლაშა იოსელიანი (სტუ), 2. თემო ჯორკოშვილი (ფსა) 3. ბაჩანა ბაჩანაშვილი (თელავის პედინსტიტუტი).

*60 კგ:* 1. თემო ლაგაზიძე (თელავის პედინსტიტუტი), 2. უშანგ რურუა (აგრარული უნივერსიტეტი), 3. ზურაბ გოგიშვილი (უშიშროების სამინისტროს აკადემია).

*63, 5 კგ:* 1. მამუკა შოშიაშვილი (თელავის პედინსტიტუტი), 2. რამაზ ჩილინგარაშვილი (სტუ, ორი მონაწილე).

*67 კგ:* 1. გიორგი კაპანაძე (თსუ), 2. ზურაბ ბაზაძე (ფასა), 3. ნიკა მანაგაძე (თსუ).

*71 კგ:* 1. გოგიტა ხაჭაპურიძე (თელავის პედინსტიტუტი), 2. კახა მუმლაძე (სტუ), 3. ნიკა მჭედლიძე (თსუ).

*75 კგ:* 1. ნიკა დავლიანიძე (ფასა), 2. ბორის გიორგაძე (თსუ), 3. ბორის ხანთაძე (თსუ).

*81 კგ:* 1. ალექსანდრე ბეროშვილი (სტუ), 2. გიორგი კეკელიძე (აგრარული უნივერსიტეტი), 3. თორნიკე ასათიანი (თსუ). ბორის თაყაიშვილი (უშიშროების სამინისტროს აკადემია).

*91 კგ:* 1. ლევან მექვაბიშვილი (სტუ), 2. ნუროდინ მუმლაძე (სტუ), 3. შალვა ალავერდაშვილი (თსუ).

*+91 კგ:* 1. მამუკა ყიფიანი (თელავის პედინსტიტუტი), 2. ლევან გაბუნია (უშიშროების სამინისტროს აკადემია), გამოდიოდა მხოლოდ 2 მოკრივე.

სპეციალურმა ჟიურიმ ტურნირის საუკეთესო ტექნიკურ მოკრივედ აღიარა გიორგი კაპანაძე.

შინ და გარეთ

# მოკლედ...

რაგბი. ევროპის პირველობის მატჩი მესამე ადგილისათვის საქართველოს ნაკრებმა პოლონელებთან სტუმრად გამართა. პორტუგალიელებთან განცდილ მორალურ ტრავმას ახლა ისიც დაერთო, რომ გუნდს რამდენიმე მოთამაშე გამოაკლდა. 80 წუთმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა 16:16. დამატებით 15-15 წუთიან ტაიმებში პოლონელებმა იმარჯვეს 23:29. რა მოგვიტანა IV ადგილმა „ფირას თასზე"? ჯერჯერობით ისაა ცნობილი, რომ ევროპის პირველ შესარჩევ ზონაში მოვხვდით (სულ სამი ასეთი ზონაა). მომავალში კვლავ ძლიერ მეტოქეებთან მოგვიწევს ურთიერთობების გარკვევა.

ფარიკაობა. დაშნით ფარიკაობაში ქართველმა და სომეხმა მუშკეტერებმა ამხანაგური საერთაშორისო ტურნირი გამართეს თბილისის ფარიკაობის დარბაზში. 15:13 გაიმარჯვეს სტუმრებმა (საქართველოდან 13 ვაჟი მონაწილეობდა, სომხეთიდან — 7 ).

ბალახის ჰოკეი. საქართველოს (ქუთაისის) ბალახის ჰოკეისტთა ნაკრებმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონატში იასპარეზა ათენში. 8 გუნდი ორ ჯგუფად დაყვეს. სომხების გამოუცხადებლობის გამო ჩვენებმა პირველი გამარჯვება ჩაიწერეს 3:0, შემდეგ ბულგარელებს სძლიეს 4:0, გვაჯობეს იუგოსლაველებმა 2:1. მესამე ადგილისათვის ბრძოლა წავაგეთ აზერბაიჯანელებთან 0:1. გაიმარჯვეს უკრაინელებმა, მეორე ადგილზეა იუგოსლავიის ნაკრები.

შინ და გარეთ

ჩოგბურთი დინამოს ღია პირველობა

# და კიდევ... ერთი ბათუმელი

სპორტკლუბ „დინამოს" წლევანდელი ღია პირველობა ჩატარდა დევიზით „გაზაფხული-97". ის ფაქტი, რომ 5 ასაკობრივ ჯგუფში 120-მა ნორჩმა ჩოგბურთელმა მოიყარა თავი, უდავოდ მისასალმებელია, მაგრამ არ შეიძლება შეშფოთებას არ იწვევდეს ჩავარდნაც. მხედველობაში გვაქვს ის, რომ სარბიელზე არ გამოსულან 1981-82 წლებში დაბადებული გოგონები. ასეთი ასაკისანი დღეს თურმე საერთოდ არ არიან საქართველოში. ასეთივე საშიშროების წინაშეა გოგონებში 1983-84



ანა ჩაჩუა

წლებში დაბადებულთა ბედიც. ამ ასაკს მაინც, თუ ახლავე არ მივხედეთ, ჩავარდნის დიაპაზონი 2-დან 4 წლით განისაზღვრება, რაც უთუოდ მტკივნეულად დააჩნდება ქართულ ჩოგბურთში თაობათა ცვლის პროცესს. ამჯერად არც 1989-90 წლებში დაბადებულ გოგონებს უასპარეზიათ, მაგრამ მათი მიზიდვა სექციებში ჯერ კიდევ არ არის გვიან.

ჰვარცხლბეკი

*1989-90 წლებში დაბადებულნი. ჭაბუკები:* 1. გიორგი ხრიკაძე, 2. გიორგი ლომინეიშვილი, 3. სანდრო კილაძე

*1987-88 წლებში დაბადებულნი.* *გოგონები:* 1. ეფრაქსია იუშკოვა, 2. თათია მიქაძე, 3. მარიამ კვარაცხელია; *ბიჭები:* ნოდარ ითონიშვილი, 2. კოტე ხაჭაპურიძე, 3. ლუკა ჟორჟოლიანი.

*1985-86 წლებში დაბადებულნი.* *გოგოები:* 1. სოფიკო მელიქიშვილი, 2. თიკა ყაულაშვილი, 3. მარიამ ხაჭაპურიძე; *ბიჭები:* 1. თეიმურაზ გაბაშვილი, 2. ლადო ჩიხლაძე, 3. სანდრო ჩიგოგიძე;

*1983-84 წლებში დაბადებულნი.* *გოგოები:* 1. ანა ჩაჩუა, 2. თამარ ზედგინიძე, 3. ქეთი ხუბულური; *ბიჭები:* 1. დავით მეფარიშვილი, 2. ლევან დათაშვილი, 3. გიორგი ტიქტოპოლო.

*1981-82 წლებში დაბადებულნი.* *ბიჭები:* 1. ოთარ ენუქიძე, 2. დათო აბულაძე, 3. დიტო კოპალეიშვილი.

შეჯიბრებაში გარდა თბილისელებისა მონაწილეობდნენ ბათუმელი და თელაველი ჩოგბურთელები. ჩემპიონები და პრიზიორები გარდა ეფრაქსია იუშკოვასი (ბათუმი), ყველა თბილისელია.

საავენტო გუმათე

ვეტერანები

# მართლაც, „ველიკი!"



**ველიკი ჯონჯოლიანი. დაიბადა 1927 წლის 15 მაისს აბაშაში. ველოსპორტში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. სსრ კავშირის ჩემპიონი (1951 წ.) გუნდურ გამოთიშვით (იტალიური ვარიანტი) რბოლაში, სსრკ მრავალგზის რეკორდსმენი ინდივიდუალურ რბოლაში 3 და 4 კმ-ზე, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ტრეკზე (სპრინტი, გიტი და ა.შ.), საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებული.**

● *ბატონო ველიკო, ჯერ სახელის შესახებ, საიდან ახეთი უცნაური სახელი?*

— თავადაც არ ვიცი, ჩვენს კუთხეში დღესაც არჩმევენ უცნაურ სახელებს ბავშვებს.

● *აბაშაში, ცნობილია, ძალზე პოპულარულია ველოსიპედი, როგორც სატრანსპორტო საშუალება. ასე იყო თქვენს ბავშვობაშიც?*

— კი, მაგრამ ფიზკულტურის ტექნიკუმში 1945 წელს ტანვარჯიშის განზრით შევედი, თუმცა, რაიონიდან რეკომენდაცია მძლეოსნობასა და კრივში მომცეს.

● *ველოსპორტში როგორღა მოხვდით?*

— ტექნიკუმში II სპორტულ თანრიგს არ გვიმტკიცებდნენ მშდ კომპლექსის ჩაუბარებლად, არადა, კომპლექსის ჩაბარება გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე თანრიგისა. კომპლექსში სხვადასხვა სახეობა შედიოდა, ბევრ მათგანში მაღალი შეფასება მივიღე, მათ შორის ველოსპორტში. ნორმატივი ცნობილ სპეციალისტს არკადი ხაბურზანიას ჩავაბარე. მანვე მირჩია მევარჯიშა და მალე საქართველოს პირველობაზე საგზაო ველოსიპედით 50 კმ-ზე რბოლაში მეორე ვიყავი, კროსში — პირველი.

● *რაკი დღესაც ამ სახეობას ემსახურებით, გამოდის რომ იმთავითვე ყველაფერს ველოსპორტი ამჯობინეთ. ხომ არ გაიხსენებდით იმ პერიოდის სპორტსმენებს, ვისთანაც ერთად გიწევდათ საქართველოს ნაკრებში გამოსვლა?*

— ჩემი თაობის სპორტსმენები არიან ოთარ დადუნაშვილი, ვლადიმერ ქებნიაური, ედუარდ ჯიმშელეიშვილი, გურამ ჯობაძე, ოთარ ჭილითაია, ჰენრი პატარაია, ავთანდილ გუნია, ვიტალი ქინქლაძე, სოსო გოცირიძე და სხვები.

● *რა ნიშნით იყო დაღდასმული იმდროინდელი სპორტული ცხოვრება საქართველოში, კერძოდ, თქვენს სახეობაში?*

— ომის შემდეგ ყველა სახეობას უჭირდა, ცხადია, ჩვენც. მერე და მერე, ძირითადად ენთუზიაზმის წყალობით, საქმე წინ წავიდა, თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების დანერგვაც დაიწყო, სრულყოფილი ველოსიპედებიც გამოჩნდა. თავდადებით ვვარჯიშობდით, საქართველოს სახელით წარმატება ჩვენი იდეალი იყო.

● *მერე მწვრთნელად მუშაობდით, ყოველთვის ან ბავშვებთან ან სტუდენტებთან...*

— ბედნიერი წლები იყო, საერთოდ, სპორტისთვის.

● *ამჟამად თქვენი დამოკიდებულება ველოსპორტთან...*

— ცხადია, ამ სამყაროსთან ურთიერთობის გარეშე ერთი დღეც ვერ წარმომიდგენია, ხშირად ვმსაჯობ, ვესწრები სხვადასხვა შეჯიბრებას...

● *დაბადებიდან 70 წლისთავს გილოცავთ.*

— დიდი მადლობა!

ესაუბრა
თ. თომაშვილი

სურათზე: ვ. ჯონჯოლიანი. 1950 წ. სიმფეროპოლი.

თბილისის მოსწავლეთა 51-ე სპარტაკიადა ● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

— მომავალ თვეში, 1981-82 წლებში დაბადებულთათვის, მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამითაც ამ ასაკის ჭაბუკები ასპარეზობდნენ და, ცხადია, თითოეული მათგანი თავდაუზოგავად იბრძოდა ნაკრებში მოსახვედრად — გვითხრა თბილისის განათლების მთავარი სამმართველოს ჭიდაობის სპორტული სკოლის დირექტორმა ალეკო გიორგობიანმა. აქვე დავძენთ, რომ ეს სკოლა ბერძნულ-რომაული ჭიდაობის რეზერვის აღზრდა-დაოსტატების ერთ-ერთი თვალსაჩინო ცენტრია ჩვენს ქვეყანაში. ზემოხსენებული ასპარეზობაც ამ სკოლის კარგად მოვლილ დარბაზში ჩატარდა.

ჰვარცხლბეკი

*42 კგ:*
1. შმაგი სახლთხუციშვილი (კრწანისის რაიონი, 65-ე სკოლა), 2. გიორგი ტაბატაძე (ისანი, 88), 3. ალექსი გუგუნაშვილი (კრწანისი, 153).

*45 კგ:*
1. კახა ხურციძე (ნაძალადევი, 10), 2. თემურ კაკილაშვილი (ისანი, 88), 3. გიორგი მიხაშვილი (სამგორი, 94).

*48 კგ:*
1. გივი ჩოგოვაძე (გლდანი, ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი), 2. ნოდარ მუნჯიშვილი (ისანი, 85), 3. ირაკლი კოპალეიშვილი (გლდანი, ოლ. რეზ. სასწ.).

*52 კგ:*
1. პაატა ბიწაძე (სამგორი, 15), 2. კობა ჭელაძე (ნაძალადევი, 10), 3. ზურაბ მეგრელიშვილი (სამგორი, 124).

*57 კგ:*
1. თორნიკე ფაჩულია (ვაკე, 101), 2. დათო ხეჩუაშვილი (სამგორი, 124), 3. ბექა ყარყარაშვილი (კრწანისი, 67).

*63 კგ:*
1. ზურაბ თოიძე (სამგორი, 82), 2. დავით კობერიძე (ისანი, 85), 3. დანტე ჭინჭარაული (სამგორი, 124).

*69 კგ:*
1. მამუკა ხიმშიაშვილი (გლდანი, ოლ. რეზ. სასწ.), 2. ოთარ თოფურია (საბურთალო, ლიცეუმი), 3. მიხეილ მაზმიშვილი (ისანი, 82).

*76 კგ:*
1. ზაზა შენგელია, 2. გელა მელაძე (ორივე — გლდანი, ოლ. რეზ. სასწ.), 3. დავით ბუბუნიშვილი (დიდუბე, 22).

*83 კგ:*
1. ირაკლი ბარამიძე (დიდუბე, 18), 2. გიორგი ჭავჭავაძე (გლდანი, 184), მესამე პრიზიორი არ გამოვლენილა.

*95 კგ:*
1. ლევან კახნიაშვილი (ვაკე, 57), 2. შალვა ოთიურიძე (ჩუღურეთი, 31), 3. დიმიტრი რაგიმოვი (სამგორი, 83).

*გუნდური:*
1. სამგორი — 75 ქულა, 2. კრწანისი — 59, 3. ისანი — 55.

ამ სახეობაში არც ერთი მონაწილე არ გამოუყვანია მთაწმინდის რაიონს.

ნონა თათრიშვილი

# გამოფენა ახმეტასაც ეწვია

***„ლელოს" ფოტოკორესპონდენტს ალექსანდრე კოტორაშვილს თამამად შეიძლება ეწოდოს ბოლო ათწლეულებში ქართული სპორტული მოძრაობის ფოტომემატიანე.*** მის ნამუშევრებს კარგად იცნობენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც, სადაც მას სხვადასხვა კონკურსში მიუღია მონაწილეობა და არაერთგზის წარმატებითაც. „ატლანტა-96" ამ შემოქმედის ნამუშევრებში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს. რეპორტიორმა ფირზე აღბეჭდა არა მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ნაბიჯები ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში, არამედ, მსოფლიოს ამ გრანდიოზული სპორტული დღესასწაულის პერიპეტიებიც. ამ ნამუშევრების ფართოდ გაცნობის შესაძლებლობა კი აჭარის შემდეგ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებს და თავის მშობლიურ ახმეტის რაიონს მისცა ავტორმა.

— დიდი მადლობელი ვართ, რომ ძალზე საინტერესო გამოფენა ჩვენთანაც მოეწყო, რაიონში გააქტიურდა სპორტის აღორძინება და ასეთი ცნობილი ფოტოხელოვანის ნამუშევრების გამოფენა ხელს შეუწყობს სპორტის პროპაგანდას ახალგაზრდებში — გვითხრა ახმეტის რაიონის გამგებელმა ვაჟა ნაცვლიშვილმა სატელეფონო საუბარში.



ახმეტაში

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## პირველი ჯგუფი XXV და XXVI ტურის გადმოტანილი მატჩები

### მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**სიონი (ბოლნისი) – მარგვეთი (ზესტაფონი) 4-1**
სიონი: ჩლაიძე, ჩომახიძე, ყაველაშვილი (დ. ჯაფარიძე), ყიფშიძე, შაკიაშვილი, მ. სამხარაძე, ხოსროშვილი (გ.ჯაფარიძე), ტარტარაშვილი, ვ. სამხარაძე, ჯაგიდისი, ჭანტურია (მოსეშვილი).
მარგვეთი: მერკვილაშვილი, ჭელიძე, გურიელიძე, უგულავა, მაღლაკელიძე (შავგულიძე), კაციაშვილი, სულაკაძე, გეწაძე, მოხიკაშვილი, უკლება, მუმლაძე.
გოლები: 1-0 ჯაგიდისი, 2-0 ყაველაშვილი (21), 3-0 ჯაგიდისი (38), 3-1 გეწაძე (40), 4-1 ტარტარაშვილი (55).
მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

**სამგურალი (წყალტუბო) – დინამო (ბათუმი) 2-2**
სამგურალი: თევზაძე, ქობულაძე, ა. მანაგაძე, კოღუაშვილი (გ. მანაგაძე), გოგელიძე, ძაგნიძე, გელაშვილი, ბრეგვაძე, კვარაცხელია (დ. ჯანელიძე), ხურცილავა, ჯანაშია (თევდორაძე).
დინამო: გვარამაძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, შანიძე, ღლონტი (ფუტკარაძე), კანტიძე, მაქაცარია (ტრაპაიძე), მუჯირი.
გოლები: 0-1 მუჯირი (3), 1-1, ხურცილავა (19), 1-2 თორლაშვილი (66), 2-2 ბრეგვაძე (79).
მსაჯი: ე. სილაგავა.

**გორდა (რუსთავი) – ტორპედო (ქუთაისი) 3-1**
გორდა: ქორიძე, ფაცურია, ბექაური, პატარიძე, სახვაძე, ბერიძე, მელაძე, არსოშვილი, კალუჟა (კედელაშვილი), მეტრეველი (ჩელებაძე), კაციტაძე (ლაბაძე).
ტორპედო: მამარდაშვილი, მაღლაკელიძე, ჯინჭარაძე, ლომიძე, ხუჯაძე (აბუთიძე), სადილიანი, ვ. გიგიაძე, გაბუნია, მუმლაძე, შენგელია, ს. გიგიაძე (ხაჭაპურიძე).
გოლები: 1-0 კალუჟა (55), 2-0 მელაძე (63), 3-0 კალუჟა (70), 3-1 ჯინჭარაძე (89, პენ.).
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

**დინამო (თბილისი) – ოდიში (ზუგდიდი) 5-0**
დინამო: ზოიძე, კალაძე, ზ. ჯელაძე, შაშიაშვილი, ცქიტიშვილი (კიკნაძე), ჩხაიძე, ყიზილაშვილი, კვარაცხელია, კერძევაძე (დავითნიძე), ანჩაბაძე, დემეტრაძე (ხომერიკი).
ოდიში: გაბელია, ვახანია, გუჩუა, ჭურღულია, მიქაძე, ბარქაია, ახვლედიანი, ჯოჯუა (სამუშია), კუტალია, გაბედავა, კალანდაძე.
გოლები: დემეტრაძე (7,22), ყიზილაშვილი (45), ზ. ჯელაძე (77), ხომერიკი (83)
გააფრთხილეს: შაშიაშვილი

## მეორე ჯგუფი

**შსს-აკადემია (თბილისი) – არმაზი (მცხეთა) 2-0 (2-0)**
შსს-აკადემია: კუტალაძე, ჩადუნელი, ჭანკოტაძე, ვაშაკიძე, კვიციანი, მოსიაშვილი, კოჩაძე, ალავიძე (მაზანაშვილი, 71), ტილკავაშვილი, კაკაშვილი, მეტრეველი.
არმაზი: ანასაშვილი, სონღულაშვილი, ზარიძე, გოგაძე, მელაძე, ჩხიკვაძე, ბაქრაძე, ნადიბაიძე (მახარაშვილი, 66), თორთლაძე, გეგეშიძე, ლომსაძე.
გოლები: კოჩაძე (9), კაკაშვილი (26)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)
გააფრთხილეს: კაკაშვილი, ბაქრაძე

შეხვედრას საკმაოდ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ორივე გუნდი საუკეთესოთა რიგებში მოხვედრას ცდილობს, რათა არ დატოვონ მეორე ჯგუფი. „შსს" აკადემიამ დასაწყისშივე შეუტია, რასაც მალე შედეგი მოჰყვა:

კობა კოჩაძემ ეფექტური დარტყმით თავზე გადაუგდო ბურთი მეკარე ანასაშვილს და წინ გაიყვანა თავისიანები. ამის შემდეგ თამაში ერთხანს მიწყნარდა. ბურთი უმეტესწილად მინდვრის შუაში ტრიალებდა, მაგრამ მასპინძლებმა სურათი შეცვალეს. აკაკი კაკაშვილმა მეტოქის მცველების დაუდევრობით ისარგებლა და ახლო მანძილიდან გაიტანა მეორე გოლი. „არმაზი" მხოლოდ იშვიათი კონტრშეტევებით ცდილობდა წარმატების მიღწევას, მაგრამ აკადემიელთა მცველები უშეცდომოდ თამაშობდნენ. სტუმრები პირველი ტაიმის ბოლოს ორჯერ გადაურჩნენ გოლს. ჯერ კაკაშვილმა ააცდინა მიზანს, ხოლო შემდეგ მეტრეველის დარტყმა ძლივს მოიგერია ანასაშვილმა.

მეორე ტაიმში „არმაზმა" მეთოდურად შეუტია, მაგრამ რეალური საფრთხე ვერ შეუქმნა მასპინძლებს. პირიქით, მცხეთელთა კარი რამდენიმეჯერ გადაურჩა აშკარა გოლს. აკადემიელთა რიგებში გამოირჩეოდნენ ტილკავაშვილი, კაკაშვილი და კოჩაძე. ამ უკანასკნელს ბევრჯერ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ შეტევის დამამთავრებელ ფაზაში არ უმართლებდა. საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს. აგრეთვე, მოსიაშვილმა და მაზანაშვილმა. შეხვედრის მიწურულს სტუმრებს შეეძლოთ ანგარიშში სხვაობის შემცირება, როცა გეგეშიძე გავიდა კარგ პოზიციაში, მაგრამ მისი დარტყმა მოიგერია კუტალაძემ. საბოლოოდ, მასპინძლებმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს, რითაც ფაქტობრივად საგაისოდ გაინაღდეს ადგილი მეორე ჯგუფში. მცხეთელებმა კი გაირთულეს სატურნირო მდგომარეობა.

*ილია ნანობაშვილი*

**შირაქი (დედოფლისწყარო) – მორკინალი (თბილისი) 0-0**
შირაქი: ხუციშვილი, შალვაშვილი (მამისაშვილი), კობიაშვილი, ელოშვილი, ძაგანია, შაიშმელაშვილი (ციხკარაული), ტუხაშვილი, ელიზბარაშვილი, ომანიშვილი, მაღრაძე (ყიზილაშვილი), ჩხაიძე
მორკინალი: გუგუნავა, ხევსურიანი, კევლიშვილი, ვაშაკიძე, ასპინძელაშვილი, აბაზაძე, კაპანაძე (კაჭარავა), ლაპიაშვილი, დვალიშვილი, ჭუმბურიძე, გოჩაშვილი
გააფრთხილეს: ჩხაიძე (შირაქი)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

მატჩის პირველი წუთები თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. თამაში ძირითადად მინდვრის ცენტრში მიმდინარეობდა და ამიტომაც შეხვედრის დებიუტში დასამახსოვრებელი არაფერი მომხდარა. ტაიმის მე-19 წუთზე „მორკინალის" ფეხბურთელებმა თავიანთ საჯარიმოში წესის დარღვევით ითამაშეს, რასაც ტუხაშვილის გამოუყენებელი პენალტი მოჰყვა (უნდა ღანიშნოს, რომ სტუმართა მეკარე კოტე გუგუნავამ ზედიზედ მეთოთხმეტე შეხვედრაში შეინახა კარი „მშრალად"). ამის შემდეგ „მორკინალის" უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ფეხბურთელები ბოლო მომენტში სცოდავდნენ. გოლის გატანა შეეძლოთ ჭუმბურიძეს, ვაშაკიძეს, აბაზაძეს.

მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა: „შირაქი" კონტრშეტევებით ცდილობდა წარმატების მიღწევას. სწორედ ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევის დროს მეცხრე წუთზე მაღრაძის თავური ზედა ძელმა აისხლიტა. დარჩენილ დროში ძირითადად „მორკინალი" უტევდა, მაგრამ მის გარჯას შედეგი არ მოჰყოლია, რაშიც ყველაზე დიდი „დანაშაული" მასპინძელთა მეკარეს მიუძღვის.

„მორკინალი" კვლავ რჩება გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერად და, თუ სასწაული არ მოხდა, ამ მეტად პერსპექტიულ გუნდს მომავალ სეზონში პირველ ჯგუფში ვიხილავთ.

*ირაკლი შენგელია,*
*„ლელოს" სპეც. კორ.*
*დედოფლისწყარო*

## „ინტერტოტოს თასის" კალენდარიც შეუდგენიათ

„ლელოს" მკითხველებმა იციან, რომ ინტერტოტოს თასის წლევანდელ გათამაშებაში, ისევე როგორც შარშან, საქართველოს ერთადერთი წარმომადგენელი გუნდი XII ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეებად საბერძნეთის, რუსეთის, ავსტრიისა და მალტის კოლექტივები ეყოლება.

გთავაზობთ ჩვენი გუნდის შეხვედრების კალენდარს:
*21-22 ივნისი.* საქართველო–რუსეთის მესამე გუნდი.
*28-29 ივნისი.* საბერძნეთის მეორე გუნდი – საქართველო.
*5-6 ივლისი.* საქართველო – მალტა.
*12-13 ივლისი.* ავსტრიის მესამე გუნდი – საქართველო.

კონკრეტულ მეტოქეებს ამ დღეებში შევიტყობთ, საცაა გაირკვევა, რომელი გუნდი გამოვა საქართველოდან ამ ტურნირში. თბილისის „მერანი-91"-ისა და ფოთის „კოლხეთი-1913"-ის მეტოქეობაში გამარჯვებული კოლექტივი გამოვა უეფას თასზე, ხოლო წაგებული – ინტერტოტოს თასზე.

## რასა იქმთ. ლეგიონერებო?

● საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი, 26 წლის მეკარე აკაკი დევაძე მას შემდეგ, რაც „როსტსელმაშიდან" ისრაელის ერთ-ერთ მეორეხარისხოვან კლუბში გადავიდა, ფეხბურთის გულშემატკივრებს თვალთახედვის არედან დაეკარგათ. არადა, ნიჭიერი გოლკიპერი კვლავ კარგ ფორმაშია და იგი ჟურნალისტებს სისტემატურად შეჰყავთ ტურისა და თვის სიმბოლურ ნაკრებებში. ამას წინათ თელავივში აკაკი უნახავს თბილისის ერთ-ერთ მცხოვრებს: ქართველი ლეგიონერი აშდოდს მიემგზავრებოდა კალენდარულ მატჩზე. დევაძეს უთქვამს, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე მისმა გუნდმა უმაღლესი ლიგიდან „გავარდნა გაინაღდა". მაგრამ გულშემატკივრები ამაში ჩვენებურს არ ადანაშაულებენ, პირიქით, ყველანაირ პირობებს უქმნიან, რათა იგი მომავალ სეზონშიც ისრაელს დარჩეს და დაეხმაროს გუნდს დაიბრუნოს ადგილი უძლიერესთა შორის.

დევაძის თქმით, მას სრულებითაც არ დაუკარგავს იმედი კვლავ მოხვდეს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში და ამისათვის დღენიადაგ ზრუნავს სპორტული ფორმის შენარჩუნებისათვის. ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელი მალე სამშობლოში ერთთვიანი შვებულებით ჩამოვა და ყველაფერს დაწვრილებით მოგვიყვება.

● გაზეთ „სპორტ-ექსპრესის" ცნობით, ზუგდიდის „ოდიშის" ცნობილი ფორვარდი მამუკა ფანცულაია მას შემდეგ, რაც მაისის ბოლოს კლუბთან კონტრაქტის ვადა გაუვა, უკრაინის ტერნოპოლის „ნივაში" გადავა. გუნდში, სადაც სელექციონერად ავთანდილ მდინარაძე მუშაობს, ხოლო ძირითად შემადგენლობაში ძმები კაპანაძეები თამაშობენ.

სხვათა შორის, ზუგდიდში ხმები დადის, რომ „ოდიშს" დანარჩენი ვეტერანებიც (სოსო ჭედია, გელა კვიტატიანი, მამუკა აბუსერიძე) გუნდიდან მიდიან და ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებში ცდიან ბედსო.

● რაოდენ გასაკვირი იყო, როდესაც ვლადიკავკაზის „ალანიიდან" კარგა ხანია წამოსულ ზაზა რევიშვილს თბილისის „მერანი-91"-ის გუნდის ვარჯიშზე მოვკარით თვალი. „ლელოს" კორესპონდენტის შეკითხვაზე – რაო, ზაზა, „მერანში" ხომ არ გადმოხვედიო, – რევიშვილი ბოლო თვის თავგადასავალს მოჰყვა. თურმე, მენეჯერთან ერთად ლაიფციგს ჩავიდა და ამავე სახელწოდების მეორე ბუნდესლიგის გუნდის მეპატრონეებს შესთავაზა – გამსინჯეთო. ამ კლუბის მეპატრონეებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ პირველ ბუნდესლიგაში გადასვლა, ამიტომ ძირფესვიანად აპირებენ გუნდის შემადგენლობის გაძლიერებას. „ლაიფციგის" შემადგენლობაში ზაზას რამდენიმე ამხანაგურ მატჩში მიუღია მონაწილეობა და გერმანელებს ძალიან მოსწონებიათ. მათ ორწლიანი კონტრაქტი შეუთავაზებიათ ჩვენებურისთვის და ამჟამად რევიშვილი ბჭობს დაჰყვეს გერმანელთა ნებას თუ სხვა კლუბი მოძებნოს, მით უმეტეს, მისი თქმით, სხვა ქვეყნებიდანაც ჰქონია მიწვევა.

## გამართლდება თბილისში დარხეული ხმები?

ერთ დროს სახელგანთქმული ჰოლანდიის „აიაქსი" მეთოდურად თმობს პოზიციებს. ეროვნული ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე იგი სატურნირო ცხრილში მეოთხე საფეხურზეა და სასწაული მოხდება, მესამე ადგილზე მყოფ „ტვენტეს" რომ გადაასწროს, იმდენად დიდია ამ გუნდებს შორის ქულათა სხვაობა.

ორიოდე კვირაში „აიაქსს" დატოვებს მისი მწვრთნელი ლუის ვან გაალი და მის ადგილს დაიკავებს დანიელი სპეციალისტი მორტენ ოლსენი. გასაკვირი არაა, რომ მწვრთნელთა ცვლას ფეხბურთელთა ტრანსფერტებიც მოჰყვა. ასე, კონტრაქტდამთავრებული პატრიკ კლუივერტი და უინსტონ ბოგარდი სილვიო ბერლუსკონის მიწვევით „მილანში" გადადიან, 34 წლის ნახევარმცველი არნოლდ სხოლტენი კი – იაპონურ კლუბ „ჯეფ იუნაიტედში".



არჩილი



შოთა

ცხადია, მორტენ ოლსენი ახლავე ფიქრობს „აიაქსის" გაძლიერებაზე და ამ მიზნით აქტიურად თანამშრომლობს კლუბის სელექციონერებთან. დანიელმა მწვრთნელმა გუნდში გადასვლა შესთავაზა მიონხენგლადბახის „ბორუსიის" შვედ გოლეადორ მარტინ დალინს, რომელსაც საცაა კონტრაქტი დაუმთავრდება გერმანულ კლუბთან. ამბობენ, დალინი თანახმააო. ვინ იქნება „აიაქსის" სხვა შენაძენი?

*ახლახანს თბილისში ხმა დაირხა – ტყუპებს შოთა და არჩილ არველაძეებს „ტრაბზონსპორთან" კონტრაქტი უმთავრდებათ და მათი გადაბირებით „აიაქსია" დაინტერესებული. ეს დაადასტურა თბილისის „დინამოს" კლუბის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამაც: ტყუპების საკითხი წამოჭრილა ჟორდანია-ოლსენის პირადი შეხვედრის დროს და ამის თაობაზე მოლაპარაკებები კვლავ გრძელდებაო.*

### აღმოსავლეთი ზონა ● XXXV ტური

მრეტები – ლოკომოტივი 0-5, იბერია – ასკ 3-1, ენერგეტიკოსი – თსუ-2 1-3, ცხინვალი – კოდაკო 1-1, მესხეთი – დურუჯი 4-0, შირაქი – მორკინალი 0-0, შსს აკადემია – არმაზი 2-0, ჭაბუკიანი – 35-სტუ 4-1, ჟინერი – დინამო-2 1-1.
*გამოტოვებული მატჩები:* ჭაბუკიანი – დინამო-2 4-3, თსუ-2 – ცხინვალი 1-2.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მორკინალი (თბილისი) | 33 | 27 | 5 | 1 | 78-8 | 86 |
| ლოკომოტივი (თბილისი) | 33 | 25 | 7 | 1 | 70-9 | 82 |
| ცხინვალი | 33 | 22 | 2 | 9 | 65-34 | 68 |
| ასკ (თბილისი) | 33 | 21 | 3 | 9 | 70-44 | 66 |
| დინამო-2 (თბილისი) | 33 | 18 | 8 | 7 | 89-28 | 62 |
| შსს აკადემია (თბილისი) | 33 | 18 | 7 | 8 | 70-29 | 61 |
| თორი (ბორჯომი) | 33 | 18 | 4 | 11 | 44-47 | 58 |
| კოდაკო (თბილისი) | 33 | 16 | 8 | 9 | 52-41 | 56 |
| იბერია (ქარელი) | 33 | 17 | 3 | 13 | 53-41 | 54 |
| არმაზი (მცხეთა) | 33 | 17 | 2 | 14 | 70-54 | 53 |
| შირაქი (დედოფლისწყარო) | 33 | 13 | 14 | 6 | 44-35 | 53 |
| თსუ-შევარდენი (თბილისი) | 33 | 11 | 2 | 20 | 39-65 | 35 |
| 35-სტუ (თბილისი) | 33 | 8 | 8 | 17 | 48-70 | 32 |
| მესხეთი (ახალციხე) | 33 | 9 | 3 | 21 | 45-73 | 30 |
| მრეტები (თბილისი) | 33 | 7 | 7 | 19 | 35-58 | 28 |
| ენერგეტიკოსი (გარდაბანი) | 33 | 8 | 4 | 21 | 36-73 | 28 |
| ჭაბუკიანი (ლაგოდეხი) | 33 | 5 | 8 | 20 | 31-58 | 23 |
| დურუჯი (ყვარელი) | 33 | 5 | 8 | 20 | 20-76 | 23 |
| ჟინერი (ჟინვალი) | 33 | 7 | 5 | 21 | 39-103 | 21 |
| ავაზა (თბილისი) | 33 | 2 | 5 | 26 | 24-76 | 11 |

### დასავლეთი ზონა ● XXIX ტური

საპოვნელა – სალხინო 2-0, იმერეთი – მამისონი 3-0, სამეგრელო – ეგრისი 2-1, სქური – მაღაროელი 2-1, კოლხეთი-2 – კახაბერი 4-0, ოდიში-2 – სულორი 1-2, მერცხალი – მეშახტე 1-0, დინამო-2 – ოლიმპია 1-1.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი (ჭიათურა) | 27 | 24 | 0 | 3 | 83-19 | 72 |
| მერცხალი (ოზურგეთი) | 27 | 22 | 1 | 4 | 64-23 | 67 |
| მეშახტე (ტყიბული) | 26 | 20 | 1 | 5 | 60-21 | 61 |
| საპოვნელა (თერჯოლა) | 27 | 13 | 7 | 7 | 50-34 | 46 |
| ოლიმპია (ხობი) | 27 | 14 | 2 | 11 | 58-45 | 44 |
| კოლხეთი-2 (ფოთი) | 27 | 14 | 5 | 8 | 43-19 | 42 |
| სალხინო (მარტვილი) | 28 | 13 | 2 | 13 | 42-42 | 41 |
| სქური (წალენჯიხა) | 27 | 12 | 5 | 10 | 40-37 | 41 |
| იმერეთი (ხონი) | 27 | 12 | 3 | 12 | 48-47 | 39 |
| სამეგრელო (ჩხოროწყუ) | 27 | 11 | 6 | 10 | 53-52 | 39 |
| სულორი (ვანი) | 28 | 10 | 5 | 13 | 36-41 | 35 |
| ეგრისი (სენაკი) | 27 | 10 | 6 | 11 | 33-34 | 31 |
| დინამო-2 (ბათუმი) | 27 | 8 | 5 | 14 | 31-40 | 29 |
| ტორპედო-2 ქუთაისი | 26 | 5 | 3 | 18 | 22-60 | 18 |
| მამისონი (ონი) | 27 | 4 | 3 | 20 | 34-85 | 15 |
| ოდიში-2 (ზუგდიდი) | 27 | 4 | 3 | 20 | 19-42 | 15 |
| კახაბერი (ხელვაჩაური) | 28 | 4 | 3 | 21 | 27-102 | 15 |

ირაკლი შენგელია

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## პირველი ჯგუფი

**XXV ტური (გადმოტანილი)**

სიონი (ბოლნისი) – მარგვეთი (ზესტაფონი) 4-1

**XXVI ტური**

დინამო (თბილისი) – ოდიში (ზუგდიდი) 5-0

სამგურალი (წყალტუბო) – დინამო (ბათუმი) 2-2

გორდა (რუსთავი) – ტორპედო (ქუთაისი) 3-1

### სატურნირო მდგომარეობა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბილისი) | 25 | 21 | 3 | 1 | 82-18 | 66 |
| დინამო (ბათუმი) | 26 | 16 | 8 | 2 | 60-16 | 56 |
| კოლხეთი-1913 (ფოთი) | 26 | 16 | 4 | 6 | 54-25 | 52 |
| მერანი-91 (თბილისი) | 26 | 15 | 6 | 5 | 42-24 | 51 |
| ტორპედო (ქუთაისი) | 26 | 13 | 3 | 10 | 63-50 | 42 |
| ოდიში (ზუგდიდი) | 26 | 11 | 1 | 14 | 43-42 | 34 |
| მარგვეთი (ზესტაფონი) | 25 | 11 | 1 | 13 | 39-54 | 34 |
| თსუ-შევარდენი (თბილისი) | 26 | 8 | 8 | 10 | 34-32 | 32 |
| დილა (გორი) | 26 | 8 | 7 | 11 | 24-30 | 31 |
| გურია (ლანჩხუთი) | 26 | 9 | 3 | 14 | 28-52 | 30 |
| სიონი (ბოლნისი) | 26 | 8 | 5 | 13 | 21-35 | 29 |
| სამგურალი (წყალტუბო) | 26 | 8 | 5 | 13 | 28-47 | 29 |
| სამტრედია | 26 | 8 | 3 | 15 | 24-47 | 27 |
| გორდა (რუსთავი) | 26 | 8 | 2 | 16 | 34-51 | 26 |
| კახეთი (თელავი) | 26 | 9 | 1 | 16 | 24-51 | 23 |
| ივერია (ხაშური) | 26 | 5 | 6 | 15 | 19-45 | 21 |

*მორიგი, XXVII ტურის მატჩები დღეს გაიმართება. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქუთაისის „ტორპედოსა" და ბათუმის „დინამოს" შეხვედრა.*

## ყველაზე შედეგიანები

გულშემატკივართა თხოვნით, ვაქვეყნებთ პირველი ჯგუფის ბომბარდირთა სიას:

1. გიორგი დემეტრაძე („დინამო" თბ.) — 21 გოლი
2-3. მიხეილ აშვეთია („ტორპედო") — 20
დავით უჯმაჯურიძე („დინამო" ბთ.) — 20
4. მერაბ მეგრელაძე („ტორპედო") — 14
5. ვლადიმერ გაბედავა („ოდიში") — 13
6. დავით გოდერძიშვილი („მერანი-91") — 12

## «დინამო» ევროტურნირისათვის მზადებას იწყებს

ორ თვეში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩაებმება. ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრამდე ჩვენებს ორი საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა მოუწევთ.

ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის უკეთ მომზადების მიზნით, ცხადია, საჭიროა საწვრთნელი შეკრების გავლა. „დინამოს" კლუბის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას განცხადებით, ამჟამად შეკრების მოწყობის სამ ვარიანტს იხილავენ: ერთი – ესპანეთში, მეორე – გერმანიაში (ბუნდესლიგის კლუბები „კიოლნი" და „ფრაიბურგი" ჩვენებს გერმანიაში ჩასვლას და ამხანაგური მატჩების გამართვას სთავაზობენ), და ბოლოს, ყველაზე რეალურად მაინც შარშანდელივით ესტონეთში მომზადების პერსპექტივებია.

ევროტურნირებისათვის გუნდი გაძლიერდება ალექსანდრე იაშვილით და ლევან კობიაშვილით, არც გიორგი გახოკიძის შემატებაა გამორიცხული. კლუბის დირექტორატს განზრახული ჰქონია მოლაპარაკება გამართოს დონეცკის „შახტიორის" მეპატრონეებთან მიხეილ ფოცხვერიას გადმოყვანის თაობაზე (ცხადია, თუ ფეხბურთელის სურვილიც იქნება). „დინამო", ალბათ, მიხეილ სახვაძესა და რატი ალექსიძეზეც არ იტყვის უარს – მათ ხომ ლონდონის „ჩელსის" ახალგაზრდულ შემადგენლობაში გამოსვლით მდიდარი პრაქტიკა შეიძინეს.

## ფეხბურთის გულშემატკივართა საყურადღებოდ!

# დღეს, როტერდამში...

გაიმართება ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი: «ბარსელონა» (ესპანეთი) – «პარი სენ-ჟერმენი» (საფრანგეთი). ტელერეპორტაჟის ხილვა შეიძლება რუსეთის ტელერადიოკომპანიის (PTP)-ის არხით 0 საათსა და 40 წუთიდან.

### პოლიტიკოსები და სპორტი

## პირველი დარტყმის უფლება – ვ. ჩერნომირდინს

თუ გავიხსენებთ იმას, რომ ფეხბურთში პირველი დარტყმის საპატიო უფლება ბევრ გამოჩენილ ადამიანს რგებია, პოპულარული კინომსახიობების ჟერარ ფილიპისა და ჯინა ლოლობრიჯიდათი დაწყებული, ჭადრაკის დედოფალით ნონა გაფრინდაშვილით დამთავრებული, ვფიქრობთ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ თამაშში ბურთის შეყვანის საპატიო მისია ამჯერად რუსეთის მთავრობის მეთაურს ვიქტორ ჩერნომირდინს ერგო. მატჩი გაიმართა რუსეთის პარლამენტის გუნდსა და ცსკა-ს ვეტერანთა ნაკრებს შორის გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ზეიმის აღსანიშნავად, მოსკოვის მახლობლად, ქალაქ არხანგელსკის, არმიელთა სპორტულ ბაზაზე. 5-5 — ასეთია ამ ამხანაგური მატჩის შედეგი. პარლამენტართაგან 3 ბურთი იგორ შადურასულოვმა გაიტანა. მის გუნდში თამაშობდა აგრეთვე რუსეთის ყოფილი სახელმწიფო მდივანი გენადი ბურბულისი.

### ჭადრაკი ევროპის გუნდური პირველობა

## პულაში, კონტინენტზე უძლიერესის სახელისათვის

ევროპის გუნდური პირველობა ჭადრაკში (პულა, ხორვატია) მეტად მძაფრ ბრძოლაში მიმდინარეობს. თუ საქართველოს ქალთა ნაკრებს ფაქტობრივად სერიოზული მეტოქე არა ჰყავს, ვაჟთა შორის აშკარა ფავორიტის დასახელება ძნელია. ასეთად ყოველ სხვა შეჯიბრებაში რუსეთის ნაკრები ითვლებოდა, მას კი ამჯერად არც კასპაროვი ჰყავს და არც კარპოვი, რაც გარკვეულად ათანაბრებს ნამყვანი გუნდების შესაძლებლობებს.

ისიც ვთქვათ, რომ ბრძოლა არც ჩვენი ქალებისათვის აღმოჩნდა იოლი, თუმცა ისინი თავიანთი უძლიერესი, ოლიმპიური შემადგენლობით გამოდიან. ასე, მაგალითად, მეოთხე ტურში სამი რიგითი მოგების შემდეგ აღინიშნა პირველი ყაიმი – 1:1 უნგრელებთან, თუმცა ამ გუნდში ამჟამად დები ბოლგარები არ თამაშობენ. მეხუთეში დაიკარგა ნახევარი ქულა სომხებთან – 1,5:0,5.

რაც შეეხება ვაჟებს, რა თქმა უნდა, მათ მდგომარეობას ამძიმებს



ის ამბავი, რომ ისინი სათადარიგო მოთამაშის გარეშე თამაშობენ, ტურნირის დებულება კი ისედაც მკაცრია, მხოლოდ ერთი დასასვენებელი დღით. მეოთხე ტურში საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა თავისი პირველი მატჩი წააგო რუსეთის გუნდთან – 2:3, თუმცა მეხუთეში ნაწილობრივ აინაზღაურა დანაკლისი, ასეთივე ანგარიშით დაამარცხა ბერძნები. ერთი რამ ცხადია, რახან შეჯიბრებას აშკარა ფავორიტი არა ჰყავს, ასეთი შეუპოვარი ბრძოლა ბოლო დღემდე გაგრძელდება.

მეექვსე ტურში საქართველოს ქალთა ნაკრები უახლოეს მდევარს – პოლონეთის გუნდს შეხვდა და კვლავ გაიმარჯვა ანგარიშით 1,5 – 0,5. ჩვენმა მოჭადრაკე ქალებმა შეინარჩუნეს ლიდერობა და ჩემპიონის წოდების მოპოვების კარგი შესაძლებლობა აქვთ. გაცილებით უფრო რთულია საქართველოს ვაჟთა ნაკრების მდგომარეობა. ამჯერად მისი მეტოქე იყო ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში თამაშობენ ამჟამად ჰოლანდიაში მცხოვრები ცნობილი დიდოსტატები პრედრაგ ნიკოლიჩი და ივან სოკოლოვი. მატჩი დამთავრდა ყაიმით ანგარიშით 2:2. კვლავინდებურად ლიდერობს ინგლისის გუნდი, სადაც პირველ დაფაზე ნაიჯელ შორტი თამაშობს.

## ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები ფეხბურთში

### ესპანეთი

**XXVII ტური**

გასულ შაბათს კატალონიის დედაქალაქის „ნოუ კამპის" სტადიონზე 120 ათასი მაყურებლის თვალწინ „ბარსელონამ" მადრიდის „რეალს" სძლია 1-0.

სხვა შედეგები: ვალიადოლიდი — ესტრემადურა 4-0, ლოგრონიესი — ბეტისი 2-1, კომპოსტელა — რაიო ვალეკანო 2-1, სპორტინგი — სელტა 2-1.

ლიდერობენ:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 37 | 24 | 11 | 2 | 77-30 | 83 |
| ბარსელონა | 37 | 24 | 6 | 7 | 92-44 | 78 |

### ინგლისი

*გამოტოვებული მატჩები:* მანჩესტერი — ნიუკასლი 0-0, ბლექბერნი — მიდლსბრო 0-0.

**XXXVIII ტური**

ნიუკასლი — ნოტინგემი 5-0, შეფილდი — ლივერპული 1-1, დერბი ქაუნთი —არსენალი 1-3, ტოტენჰემი — ქოვენთრი 1-2, ლიდსი — მიდლსბრო 1-1, უიმბლდონი — სანდერლენდი 1-0, მანჩესტერი — ვესტ ჰემი 2-0, ევერტონი — ჩელსი 1-2, ასტონ ვილა — საუთჰემპტონი 1-0, ბლექბერნი — ლესტერი 2-4.

საბოლოო ცხრილი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 38 | 21 | 12 | 5 | 76-44 | 75 |
| ნიუკასლი | 38 | 19 | 11 | 8 | 73-40 | 68 |
| არსენალი | 38 | 19 | 11 | 8 | 62-32 | 68 |
| ლივერპული | 38 | 19 | 11 | 8 | 62-37 | 68 |
| ასტონ ვილა | 38 | 17 | 10 | 11 | 47-34 | 61 |
| ჩელსი | 38 | 16 | 11 | 11 | 58-55 | 59 |
| შეფილდი | 38 | 14 | 15 | 9 | 50-51 | 57 |
| უიმბლდონი | 38 | 15 | 11 | 12 | 49-46 | 56 |
| ლესტერი | 38 | 12 | 11 | 15 | 46-54 | 47 |
| ტოტენჰემი | 38 | 13 | 7 | 18 | 44-51 | 46 |
| ლიდსი | 38 | 11 | 13 | 14 | 28-38 | 46 |
| დერბი ქაუნთი | 38 | 11 | 13 | 14 | 45-58 | 46 |
| ბლექბერნი | 38 | 9 | 15 | 14 | 42-43 | 42 |
| ვესტ ჰემი | 38 | 10 | 12 | 16 | 39-48 | 42 |
| ევერტონი | 38 | 10 | 12 | 16 | 44-57 | 42 |
| საუთჰემპტონი | 38 | 10 | 11 | 17 | 50-56 | 41 |
| ქოვენთრი | 38 | 9 | 14 | 15 | 38-54 | 41 |
| სანდერლენდი | 38 | 10 | 10 | 18 | 35-53 | 40 |
| მიდლსბრო | 38 | 10 | 12 | 16 | 51-60 | 39 |
| ნოტინგემი | 38 | 6 | 16 | 16 | 31-59 | 34 |

*ბომბარდირები:* შირერი („ნიუკასლი") — 25, რაიტი („არსენალი") — 23.

ამრიგად, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედი" და, თუმცა, [illegible] მეორე კლუბი „ნიუკასლ იუნაიტედი" იასპარეზებენ. „არსენალი", „ლივერპული", „ასტონ ვილა" და „ლესტერი" (როგორც ინგლისის ლიგის თასის მფლობელი) — უეფას თასზე „ჩელსი" ან „მიდლსბრო" — თასების თასზე ითამაშებენ. პრემიერლიგა დატოვეს „ნოტინგემმა", „მიდლსბრომ" და „სანდერლენდმა".

### გერმანია

**XXXI ტური**

ბაიერნი — ფრაიბურგი 0-0, კარლსრუე — ბორუსია (დ.) 1-1, შალკე-04 — ფორტუნა 0-1, ვერდერი — კიოლნი 3-2, არმინია — მიუნხენი -1860 2-3, სანქტ-პაული — ბორუსია (მ.) 3-1, ბაიერი (ლ.) — ჰამბურგი 5-0.

ლიდერთა სამეული:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 31 | 18 | 10 | 3 | 59-30 | 64 |
| ბაიერი | 31 | 19 | 6 | 6 | 65-37 | 63 |
| შტუტგარტი | 31 | 17 | 7 | 7 | 72-32 | 58 |

### რუსეთი

**IX ტური**

ალანია — ფაკელი 2-0, ჟემჩუჟინა — ლოკომოტივი 0-0, კამაზი — ცსკა 0-3, სპარტაკი — კრილია სოვეტოვი 2-0, ჩერნომორეცი —ზენიტი 2-0, შინიკი — როსტსელმაში 1-1, როტორი — ლოკომოტივი (ნ-ნ.) 2-0, დინამო — ტიუმენი 2-0, ტორპედო — ბალტიკა 1-0.

ლიდერობენ:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როტორი | 9 | 6 | 2 | 1 | 13-4 | 20 |
| დინამო | 9 | 6 | 1 | 2 | 12-3 | 19 |
| სპარტაკი | 9 | 5 | 3 | 1 | 15-4 | 18 |

### იტალია

**XXX ტური**

ვერონა — იუვენტუსი 0-2, პარმა — ვიჩენცა 3-0, სამპდორია — ინტერი 1-2, ფიორენტინა — უდინეზე 2-3, ლაციო — პერუჯა 4-1, ბოლონია — კალიარი 3-0, მილანი — რეჯანა 3-1, ნაპოლი — რომა 1-0, პიაჩენცა — ატლანტა 3-1.

ლიდერთა სამეული:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 30 | 16 | 11 | 3 | 43-19 | 59 |
| პარმა | 30 | 16 | 7 | 7 | 36-23 | 55 |
| ინტერი | 30 | 13 | 12 | 5 | 42-29 | 51 |

## ჭაბუკებში უძლიერესნი ესპანელები არიან

16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ესპანელთა გამარჯვებით დასრულდა. გადამწყვეტ მატჩში, გასულ კვირას რომ გაიმართა, მათ პენალტების (ძირითადი დრო 0-0) სერიით ავსტრიელებს სძლიეს. წინა დღეს კი მესამე ადგილისათვის ბრძოლაში მასპინძლებმა, გერმანელმა ჭაბუკებმა შვეიცარიელებს მოუგეს, 3-1.

## „ლოკომოტივი" საუკეთესოა

ორთაჭალაში, საფეხბურთო კლუბ „კავკასიონის" სტადიონზე ჩატარდა აფხაზეთში დაღუპული გია შახიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი V ტრადიციული რესპუბლიკური ტურნირი 1983 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ამ ასპარეზობას ატარებდნენ საფეხბურთო კლუბი „კავკასიონი" და კრწანისის რაიონის სპორტკომიტეტი. ტურნირში მონაწილეობდა 10 გუნდი.

ფინალში „მართვე" (თბილისი) შეხვდა თანაქალაქელ ლოკომოტიველებს. გაიმარჯვა რკინიგზელთა გუნდმა 2-0. გოლები გაიტანეს ბ. ხუციშვილმა და მ. ზურაბიშვილმა. III ადგილისათვის მატჩში კი, „მთვარის გლობუსმა" დაამარცხა „ვაკე-91" 2-1.

ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი გადაეცა გოგა კოხიას, საუკეთესო ნახევარმცველის ბორის ხუციშვილს, ყველაზე ტექნიკური მოთამაშისა კოტე მაისურაძეს (ყველა — „ლოკომოტივი").

გამარჯვებულთა გუნდის „ლოკომოტივის" უფროსი მწვრთნელია პაატა გოცირიძე, მწვრთნელი თამაზ ოდიკაძე, პრეზიდენტი ვასიკო ჰეიშვილი, მენეჯერი პაატა კავკასიძე, ადმინისტრატორი თამაზ მაისურაძე, საფეხბურთო სკოლა. „ლოკომოტივის" დირექტორია დავით აბაშიძე.



მარცხნიდან: დგანან თ. მაისურაძე, ი. მინდაძე, ი. ქელბაქიანი, ბ. ცხვედიანი, დ. ორბელაძე, გ. ბაქანიძე, ი. კენჭაძე, გ. ბზობიძე, მ. ზურაბაშვილი, შ. ლომთაძე, პ. გოცირიძე, თ. ოდიკაძე, სხედან: ვ. ფოლადაშვილი, გ. ქართველიშვილი, გ. კოხია, ა. ეთერია, კ. მაისურაძე, რ. კობახიძე, ლ. ედილაშვილი, ნ. ხუციშვილი, პ. ზუბიაშვილი. მეკარეები: ზ. ხარებავა, მ. ხოხაშვილი.

## მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში • შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98
COUPE DU MONDE

# მერვე ევროპული ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 20-0 | 18 |
| მაკედონია | 6 | 3 | 1 | 2 | 18-10 | 10 |
| ლიტვა | 5 | 3 | 0 | 2 | 6-5 | 9 |
| ირლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 19-4 | 7 |
| ისლანდია | 4 | 0 | 2 | 2 | 1-7 | 2 |
| ლიხტენშტაინი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-31 | 0 |

ეს ჯგუფი ჯერჯერობით ერთადერთია, სადაც უკვე გადაწყდა პირველი ადგილის ბედი. რუმინელებს, რომლებმაც 6 მატჩში ყველა მოიგეს, უკვე თამამად შეუძლიათ შეუკვეთონ საფრანგეთის ბილეთები.


რადუჩიოუ

ახლა დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ინგლისში ევროპის პირველობაზე რუმინეთის ნაკრები საკმაოდ ძლიერი იყო, ოღონდ, აშკარად არ ემართლებოდა.

უნდა ითქვას, რომ ახლა რუმინელებს, პირიქით, ბედმა გაუღიმათ. ეს ჯგუფი არ არის მაინცდამაინც ძლიერი. რუმინეთის ფეხბურთის ფედერაცია იმითაც არის ძალზე კმაყოფილი, რომ დაიყოლია და ნაკრებში დარჩენა ურჩია მრავალნაცად მწვრთნელ ანხელ იორდანესკუს. ეს სპეციალისტი (რომელსაც გენერლის სამხედრო წოდება აქვს) განთავისუფლებას მოითხოვდა ჯერ კიდევ შარშან გაზაფხულზე, შემდეგ კი ინგლისში მარცხის გამო.

ახლა კი იმ პრობლემის შესახებ, რომელიც იორდანესკუს წინაშე წარმოიშვა. ახლანდელი ნაკრების წამყვანმა მოთამაშემ „ბარსელონას" ნახევარმცველმა და კაპიტანმა გეორგე პოპესკუმ მწვრთნელს მოულოდნელი ულტიმატუმი წაუყენა. მან კატეგორიულად მოითხოვა ნაკრებში არ მოეწვიათ სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადის" თავდამსხმელი გეორგე კრაიოვეანუ. თურმე ნუ იტყვით, კრაიოვეანუმ გადაიბირა პოპესკუს დანიშნული და ცოლად მოიყვანა. თუ თავდამსხმელს მაინც გამოიძახებდნენ, ამ შემთხვევაში უკვე პოპესკუ დაანებებდა თავს ნაკრებს. მწვრთნელს რა უნდა ექნა? სად განთქმული პოპესკუ და სად კრაიოვეანუ. არჩევანი კი გაკეთდა, მაგრამ შემდეგ მეტოქეები შერიგდნენ. ისე რომ, ახლა ნაკრებში ერთიც გამოდის და მეორეც. „კარპატების მარადონად" წოდებული გეორგე ჰაჯი (იგი ახლა სტამბულის „გალათასარაიში" თამაშობს) ინგლისში მარცხის შემდეგ აპირებდა ნაკრებში აღარ გამოსულიყო, მაგრამ შემდეგ ყურადიღო მწვრთნელის თხოვნა, დარჩა და კარგადაც მოიქცა, რადგან ჯერ კიდევ, როგორც ჩანს, ბევრი რამ შეუძლია.

ზოგი მატჩი ამ ჯგუფში მანამდე ჩატარდა, სანამ რუმინელები ევროპის ჩემპიონატისათვის ემზადებოდნენ. მაკედონიელებმა ჯერ. კიდევ შინ მოუგეს ლიხტენშტაინელებს — 3-0. შემდეგ კი სტუმრად ფრედ — 1-1 ითამაშეს ირლანდიელებთან. ლიხტენშტაინელებმა წააგეს კიდევ ერთი მატჩი — 0-5 ირლანდიელებთან.

ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, დიდ ინტერესს იწვევდა მთავარი ფავორიტის — რუმინეთის ნაკრების დებიუტი. იგი 31 აგვისტოს საკუთარ მინდორზე ლიტველებს შეხვდა. გულშემატკივრებმა, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ინგლისში ნაკრების გამოსვლით, მატჩისადმი დიდი ინტერესი


გეორგ პოპესკუ

არ გამოიჩინეს — შეხვედრას სულ 12 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. გავეცნოთ გუნდების შემადგენლობებს: **რუმინეთი** — პრუნია (გერასიმი, 86), პეტრესკუ (სტინგე, 80), პროდანი, შეიმეში, ლუპესკუ (პოპესკუ, 80), პაპურა, ფილიპესკუ, გილკე, მოლდოვანი, ილიე, მუნტიანუ. **ლიტვა** — სტაუჩე, ჟიუკასი, გვილდისი, მიკენიავიჩიუსი, ვაიონორასი, ბალტუშნიკასი (ვენციავიჩიუსი, 71), მაცულავიჩიუსი (კირილოვი, 46), ტერეშკინასი, იანკაუსკასი, სკარბალიუსი, უვინგილასი.

ლიტველებს ამჟამად წვრთნის ცნობილი სპეციალისტი ბენიამინას ზელკიავიჩუსი, რომელიც წლეულს ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზსაც" ჩაუდგა სათავეში. ბუქარესტში სტუმრებმა სუსტად ითამაშეს. მათი მცველები ვერ უმკლავდებოდნენ რუმინელების სწრაფ თავდამსხმელებს. შეიმჩნეოდა, რომ ისინი სისტემატიურად აგებდნენ საჰაერო ბრძოლას ფრთებიდან ჩამოწოდებული მაღალი ბურთებისათვის ბრძოლაში. ერთადერთი, ვინც ლიტველების მხრიდან კარგად წარმართა ეს შეხვედრა, იყო ცნობილი მეკარე განტარას სტაუჩე, რომელმაც იხსნა ნაკრები გამანადგურებელი ანგარიშით წაგებისაგან, თუმცა 3-0 მიუთითებდა რუმინელების დამაჯერებელ გამარჯვებაზე. გოლები გაიტანეს მოლდოვანმა (იგი ამჟამად ციურიხის „გრასჰოპერსში" გამოდის), პეტრესკუმ (ლონდონის „ჩელსი") და გილკემ.

მომდევნო მატჩებში ლიტველების შემადგენლობაში გამოჩნდნენ ვეტერანები სუკრისტოვი და ნარბეკოვასი, მოხდა ერთგვარი სტაბილიზაცია, რის შედეგადაც ჯერ ირლანდიელები დაამარცხეს — 2-0, შემდეგ კი ლიხტენშტაინის გუნდი — 2-1, თუმცა ასეთი ნაკლებადდამაჯერებელი ანგარიშისათვის ლიტველებმა არაერთი საყვედური მიიღეს.

თავიანთი მეორე მატჩი რუმინელებმა რეიკიავიკში ჩაატარეს და იოლად მოუგეს ირლანდიელებს — 4-0. ამ შეხვედრაში გოლი გაიტანა ნაკრებში დაბრუნებულმა ჰაჯიმ. აღინიშნა ისიც, რომ ეს იყო განთქმული ოსტატის (იგი ეროვნებით ბერძენია) 101-ე მატჩი ეროვნულ ნაკრებში.

10 ნოემბრის შეხვედრა ლიხტენშტაინისა და მაკედონიის გუნდებს შორის იმით იყო საინტერესო, რომ სტუმრებმა შეძლეს მართლაცდა ასტრონომიული ანგარიშით 11-1 მოგება. ამით მაკედონიელებს, როგორც გამოირკვა, ცოტაღა დააკლდათ მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდამდე (ახალი ზელანდია — ფიჯი — 13-0).

14 დეკემბრის მატჩის შემდეგ რუმინელები ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ. ამ დღეს ისინი მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში შეხვდნენ ამ ქვეყნის ნაკრებს და თუმცა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, მათ შორის ჰაჯიც, არა ჰყავდათ, საკმაოდ იოლად გაიმარჯვეს — 3-0. საინტერესოა, რომ სამივე ბურთი პოპესკუმ გაიტანა. ეს მატჩი პირველი გამოდგა, სადაც შერიგებულებმა პოპესკუმ და კრაიოვეანუმ ერთად ითამაშეს.

ცხადი გახდა, რომ რუმინელები აშკარად აღემატებოდნენ ყველა მეტოქეს. ამიტომ გასარკვევი დარჩა მეორე მნიშვნელოვანი საკითხი — ვინ იბრძოლებდა მეორე ადგილისათვის. ამის პრეტენზია, ყოველ შემთხვევაში ახალი წლის დამდეგისათვის, 4 ნაკრებს ჰქონდა. მაგრამ მათ გამოაკლდნენ ირლანდიელები, რომლებიც ახლა უარესად თამაშობენ, ვიდრე გასულ წლებში.

29 მარტსა და 2 აპრილს ლიდერებმა კიდევ ორი გამარჯვება იზეიმეს. ჯერ იყო და მათ ბუქარესტში სრულიად იოლად მოუგეს ლიხტენშტაინელებს (8-0), ამასთან, 4 გოლი პოპესკუმ გაიტანა, შემდეგ კი ითამაშეს ვილნიუსში, სადაც მასპინძლების რიგებში გამოჩნდა თავდამსხმელი ივანაუსკასი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია „ჰამბურგერ შპორტფერაინში" გამოდის და ბუნდესლიგაში კარგი რეპუტაცია აქვს. ამ მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც სტუმრების თავდამსხმელმა მოლდოვანმა გაიტანა.


გეორგე ჰაჯი

30 აპრილს რუმინელებმა საკუთარ მინდორზე ილიეს მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით სძლიეს ირლანდიელებს, ხოლო ლიტველებმა სტუმრად მოუგეს ლიხტენშტაინელებს — 2-0.

მაშ ასე, მეორე ადგილისათვის შეუპოვარი ბრძოლა გრძელდება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს 7 ივნისის შეხვედრას მაკედონიისა და ირლანდიის გუნდებს შორის, 11 ივნისს ირლანდიელები ლიტველებს მიიღებენ, ხოლო 20 აგვისტოს ლიტველებს სტუმრად ასევე ძნელი მატჩი აქვთ დუბლინში ირლანდიელებთან.

ერთი სიტყვით, დღეისათვის ძნელია მეორე ადგილის რომელიმე პრეტენდენტისთვის უპირატესობის მიკუთვნება.

**ბივი თორელი**

# ტრავმები, ტრავმები...

ერთდროულად ორ გუნდს „ტოტენჰემსა" და ინგლისის ეროვნულ ნაკრებს გამოაკლდნენ ნახევარმცველი დარენ ანდერტონი და მეკარე იან უოკერი. ორივეს სერიოზული ტრავმა აქვთ მოსაშუშებელი და, როგორც ექიმები ვარაუდობენ, შემოდგომამდე ვერ გამოვლენ მინდორზე.


დარენ ანდერტონი

ანდერტონმა ბოლო ორი სეზონის განმავლობაში მუხლის ოთხი მძიმე ოპერაცია გადაიტანა. იგი ამ დღეებში შვედეთის ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობს. რაც შეეხება მეკარე იან ოკერს (გახსოვთ, ალბათ, მან ინგლისი — იტალიის მატჩში სიმენსი შეცვალა და ძოლას დარტყმული ადვილი ბურთი გაუშვა). მას მხარი აქვს დაზიანებული და ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.


იან უოკერი

ასე რომ, ამასწინანდელი საქართველოს ნაკრების მეტოქე პოლონელებთან (31 მაისი) და მოლდოველებთან (10 სექტემბერი) შემადგენლობანაკლული გამოვა.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ვარსკვლავები

# ხოტორა ვარსკვლავი სასწაულებს გვპირდება

*დღესდღეობით ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბად ითვლება „ბარსელონა". მასში ბევრი სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოდის. მათ შორის უდავოდ, ყველაზე პერსპექტიულია ხოტორა ბიჭუნა ივან დე ლა პენია — ბრწყინვალე „ფლეი-მეიკერი".*

არიან ბავშვები, რომელთაც მწვრთნელები და სპეციალისტები საგანგებოდ აკვირდებიან. ივან დე ლა პენია ჯერ 14 წლისაც არ იყო, როდესაც უკვე ესპანეთის იმედად მონათლეს. პატარა ივანი თანატოლებში აშკარად გამოირჩეოდა. განსაკუთრებით ტექნიკური დრიბლინგით იპყრობდა ყურადღებას. ივან დე ლა პენია სანტარდერში ცხოვრობდა და „რასინგის" სპორტსკოლაში დადიოდა. 15 წლის იყო, როცა ესპანეთის გრანდის — „ბარსელონას" ხელმძღვანელობამ „დაითრია".

ისევე, როგორც ყველა პატარას, ივანსაც ჰყავდა თავისი კერპი. ეს იყო იტალიელი ჯანლუკა ვიალი. ყველაფერში მას ჰბაძავდა და როცა იტალიელმა თავი გადაიხოტრა, მანაც მიაშურა საპარიკმახეროს. როცა ივანი გადახოტრილი თავით გამოცხადდა სახლში, დედის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, სკოლაშიც დაიწუნეს მასწავლებლებმა და მეგობრებმა — გოგოებს აღარ მოეწონებიო. თუმცა ბიჭუნას მათთვის ყური არ დაუგდია.

ივან დე ლა პენია საოცრად მალე ხვეწდა ოსტატობას. ყველა ასაკის ესპანეთის ნაკრებში აშკარა ლიდერი იყო. დაუვიწყარი იყო ყატარში შარშანწინ ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატი იუნიორთა შორის (20 წლამდე). ესპანელებს ვერ აჩერებდნენ, განსაკუთრებით დე ლა პენიას. მიუხედავად არგენტინასთან მარცხისა, ივანი ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

1995 წელს ხოტორა ივანი „ბარსელონას" ძირითად შემადგენლობაში მოხვდა. იოჰან კრუიფი მას ენდობოდა და ყველა პრინციპულ შეხვედრაში ათამაშებდა. დე ლა პენიამ მართლაც გაამართლა იმედები.


დელა პენია — ესპანელთა კერპი

იმ წელიწადს „მფრინავმა ჰოლანდიელმა" გუნდიდან ვარსკვლავები გაუშვა (რომარიო, სტოიჩკოვი, კუმანი) და გზა გაუხსნა 18-19 წლის ბიჭებს: დე ლა პენიას, ტყუპ ძმებს — როჯერს და ოსკარს, სელადესს, კარერასს და სხვას.

კრუიფს ბევრს აკრიტიკებდნენ, აქაოდა, დე ლა პენიას ზღუდავ და შენს შვილს — ხორდის აძლევ უპირატესობასო. ასეც იყო. აშკარად ჩანდა, რომ ხორდი კლასით ჩამორჩებოდა ხოტორას. თუკი პირველ წრეში ყველაფერი კარგად მიდიოდა, შემდგომში შედეგებმა იკლო. „ბარსამ" ესპანეთის ჩემპიონობაც და თასიც „ატლეტიკოს" გადაულოცა. უეფას თასის ნახევარფინალში კი შინ წააგო „ბავარიასთან" (1-2). იმ მატჩში დე ლა პენია შეცვლაზე გამოვიდა და ბრწყინვალე ჯარიმაც გაიტანა, მაგრამ ეს უკვე პრესტიჟის გოლი გამოდგა.

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელს ხავიერ კლემენტეს ბევრს უკიჟინებენ ივანის ნაკრებში აყვანის თაობაზე, მაგრამ კლემენტე არ ჩქარობს: „მისი დიდი იმედი მაქვს. არაჩვეულებრივად ნიჭიერია, მაგრამ ჯერჯერობით არაა იმ დონეზე, რომ ესპანეთის ნაკრების ფლეიმეიკერი გახდეს. მყავს მისი ამპლუის ორი კარგი ფეხბურთელი: გერერო და კამინერო. ამიტომ ივანს ინგლისში ვერ წავიყვან. სჯობს მან და რაულმა ატლანტაში იხახელონ თავი".

იოჰან კრუიფი ბობი რობსონმა შეცვალა. მანაც ვერ შეძლო დე ლა პენიასთვის სათამაშო პრაქტიკა მიეცა და უპირატესობას ბრაზილიელ ჯოვანის აძლევდა, მაგრამ ბოლო დროს ყველაფერი შეიცვალა. ივანი ბრწყინავს და ის, რომ „ბარსელონა" კვლავ ჩვეულ ფეხბურთს თამაშობს, მისი დიდი დამსახურებაცაა. აი რა თქვა მასზე რობსონმა: „ვიცი როდის უნდა მისცე მას შანსი თავის გამოჩენისა. იგი ულამაზესი დირიჟორია და რონალდოს სწორედ ასეთი პასების ოსტატი სჭირდება". დე ლა პენიამ დიდებულად ჩაატარა სათასო მატჩი „ატლეტიკოსთან" და ბოლო ტურში ხიხონის „სპორტინგთან", სადაც ულამაზესი გოლიც გაიტანა.

თავად ივანი წუხნას არ გამოთქვამს ხოლმე სათადარიგო სკამზე ჯდომის გამო. „ბარსას" პუბლიკას იგი ძალიან მოსწონს. სხვათა შორის, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მისი შეძენაისურვა „იუვენტუსმა", მაგრამ „ბარსა" მის გაშვებას არ აპირებს. თავად დე ლა პენიაც ამ აზრისაა: „ბედნიერი ვარ, რომ „ბარსელონაში" ვთამაშობ. რამხელა სიამაყეა, როცა 120 ათასი გულშემატკივარი გიჭერს მხარს. ამ დროს ჩვენს გუნდს სასწაულის გაკეთება შეუძლია".

ესპანეთში მოდაშია ამ ქვეყნის ორი ახალგაზრდა ვარსკვლავის — რაულის და დე ლა პენიას შედარება. ჯერჯერობით ამ დავაში რაული იგებს, მაგრამ იმედია ივანიც არ იქნება მეორე პლანზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ესპანეთში არ მოსულა ასეთი თაობა. სიტყვა კლემენტეზეა. მანამდე კი დე ლა პენია ოცებს „ნოუ კამპზე" მოსულ გულშემატკივრებს თავისი ლამაზი დარტყმებითა და გამჭოლი პასებით.

**ილია ნანობაშვილი**



გარი კასპაროვი

# კომპიუტერმა ღირსეულად ჩაიწერა პირველი გამარჯვება ადამიანთან, დამარცხებული კასპაროვი კი განრისხდა...



„დიპ ბლიუ“

**თქმა არ უნდა, მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვისა და უაღრესად ძლიერ ავტომატ „დიპ ბლიუს“ წლევანდელი შეხვედრა განსაკუთრებული მოვლენა იყო არა მარტო სპორტული, არამედ მეცნიერული თვალსაზრისითაც**

ასე იყო თუ ისე, შარშან კასპაროვს მაინც ჰქონდა უპირატესობა, რაც მატჩის ანგარიშშიც აისახა (4:2), ახლა კი კომპიუტერი უდავოდ გაძლიერდა, რის შესახებაც მისი შემდგენლები ჯერ კიდევ ბრძოლის დაწყებამდე იუწყებოდნენ. ისინიც სულაც არ შეაშფოთა პირველი პარტიის წაგებამ და უკვე მეორეში რევანში აიღეს. კასპაროვი ისე გამწარდა, რომ ტრადიციულ პრესკონფერენციაზეც კი არ მივიდა, „დიპ ბლიუს“ პროგრამის შემდგენლები კი პირდაპირ ალტაცებას ვერ მალავდნენ. მეორე პარტიის შემდეგ კომპიუტერის კონსულტანტმა, ცნობილმა ამერიკელმა დიდოსტატმა ჯოელ ბენჯამინმა, რომელიც ერთხანს ქვეყნის ჩემპიონიც კი იყო, განაცხადა: „სწორედ ამ შედეგისათვის ვიმუშავეთ ჩვენ ასეთი მონდომებით მთელი 8 თვის მანძილზე. „დიპ ბლიუმ“ მეორე პარტიაში ისეთი თამაში უჩვენა, რომელიც ნებისმიერ დიდოსტატს შეშურდებოდა“. საერთაშორისო ოსტატმა მაიკ ვოლვომ კი თქვა: „სრულიად ცხადია, რომ ეს იყო ყველაზე ძლიერი იმ პარტიებიდან, რომელიც კომპიუტერს კასპაროვის წინააღმდეგ აქვს ნათამაშევი“. ცხადია, ვოლვო შარშანდელ შეხვედრებსაც გულისხმობდა.

მატჩისათვის რომ ემზადებოდა, კასპაროვმა, რა თქმა უნდა, ათასგვარი შესაძლებელი ვარიანტი განიხილა და ასეთი დასკვნები გამოიტანა: სასურველი იქნებოდა გვერდი აევლო თეორიული ბრძოლისათვის, რათა კომპიუტერისათვის მისი უზარმაზარი სადებიუტო ერუდიციის გამოყენების საშუალება არ მიეცა. შეგნებულად შეირჩა ბრძოლის მეტად ფრთხილი ტაქტიკა, მეტოქის ძალების საკუთარ „ტერიტორიაზე“, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემოტყუების მიზნით. ამ ტაქტიკას მსოფლიო ჩემპიონი მატჩის ბოლომდე განუხრელად ახორციელებდა, მაგრამ კომპიუტერს თავისი „კოზირები“ ჰქონდა, რაც მთელ რიგ შეხვედრებში კარგად გამოჩნდა კიდეც. „დიპ ბლიუმ“ გათვლის დიდი ოსტატობის გარდა, რაც ადრეც საყოველთაოდ იყო ცნობილი, უჩვენა დიდი „ინტელექტუალური შესაძლებლობებიც“, რაც ძნელ, უარეს პოზიციებში მახვილგონივრული, მოულოდნელი თავდაცვითი ოპერაციებით გამოიხატა.

ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, კასპაროვის ახლანდელი ტაქტიკა სუპერ-კომპიუტერის წინააღმდეგ ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა. მაშინ, როცა მსოფლიო ჩემპიონი შეგნებულად გვერდს უვლიდა თეორიაში ცნობილ გაგრძელებებს, „დიპ ბლიუ“ უაღრესად ლოგიკური, სტრატეგიულად გამართული და დასაბუთებული თამაშით მაინც იღებდა სავსებით სასურველ პოზიციებს. არც მეტოქის ძალების „შეტყუებამ“ გამოიღო რაიმე შედეგი.

მატჩის მეხუთე პარტია, რომელშიც კასპაროვი თეთრებით თამაშობდა, 48-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა. ახლა ყველაფერი უკანასკნელ, მეექვსე პარტიას უნდა გადაეწყვიტა. „დიპ ბლიუს“ შემდგენელი პროგრამისტები აცხადებდნენ, რომ აუცილებლად მოიგებდნენ ამ მატჩს და მიაღწიეს კიდეც მიზანს. კომპიუტერი ისევე, როგორც წინა პარტიებში, აქაც შეუმცდარად თამაშობდა და საკმაოდ მალე მოიგო არა მარტო მეექვსე პარტია სულ რაღაც 19 სვლაში, არამედ მთელი ორთაბრძოლაც ანგარიშით 3,5:2,5.

ერთი სიტყვით, მოხდა ის, რასაც „ხელოვნური ინტელექტის“ ქომაგები კარგახანია ელოდნენ, მაგრამ, რასაც მსოფლიო ჩემპიონი აშკარად არ ეთანხმებოდა. ახლა მან მეტი რაღა ჩარაა, „დიპ ბლიუს“ ძალა უნდა აღიაროს და საპასუხო შეხვედრისათვის მოემზადოს. საინტერესოა, რომ მატჩის შემდეგ კასპაროვი ძალზე განერვიულდა, „დიპ ბლიუს“ კონსულტანტები გაამტყუნა იმაში, რომ მათ მაინცდამაინც სრულყოფილი მანქანის შექმნა კი არ უნდოდათ, არამედ პირადად მისი, კასპაროვის დამარცხება, რომ „დიპ ბლიუს“ შემდგომი წარმატებები არ ექნებოდა და ა.შ.

**მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის მატჩმა უძლიერეს კომპიუტერ „დიპ ბლიუსთან“ უდიდესი გამოხმაურება გამოიწვია სპორტულ სამყაროში. ვითვალისწინებთ რა მკითხველების დიდ ინტერესს, გთავაზობთ ამ ორთაბრძოლის პარტიებს.**

**გარი კასპაროვი - „დიპ ბლიუ“**

პირველი პარტია ● რეტის დებიუტი

**1. მf3 d5 2. g3 კg4 3. b3 მd7 4. კb2 e6 5. კg2 მgf6 6. 0-0 c6 7. d3 კd6 8. მbd2 0-0 9. h3 კh5 10. e3 h6 11. ლe1 ლa5 12. a3 კc7 13. მh4 g5 14. მhf3 e5 15.e4 ეfe8 16. მh2 ლb6 17. ლc1 a5 18. ეe1 კd6 19. მdf1 de 20. de კc5 21. მe3 ეad8 22. მhf1 g4 23. hg მ:g4 24. f3 მ:e3 25. მ:e3 კe7 26. მფh1 კg5 27. ეe2 a4 28. b4 f5 29. ef e4 30. f4 კ:e2 31. fg მe5 32. g6 კf3 33. კc3 ლb5 34. ლf1 ლ:f1+ 35. ე:f1 h5 36. მფg1 მფf8 37. კh3 b5 38. მფf2 მფg7 39. g4 მgh6 40. ეg1 hg 41. კ:g4 კ:g4 42. მ:g4 მ:g4+ 43. ე:g4 ეd5 44. f6 ეd1 45. g7 მფh7 46. f7 შავები დანებდნენ.**

ამ პარტიაში კომპიუტერი ძალზე აგრესიულად თამაშობდა. იგი არ მოერიდა საკუთარი მეფის ფრთის დასუსტებას, განახორციელა პაიკის სანტერესო, მაგრამ როგორც გამოირკვა, მცდარი შეწირვა. 34-ე სვლაზე მას არ უნდა გაეცვალა ლაზიერი. კასპაროვმა აამოძრავა გამსვლელი პაიკები მეფის ფრთაზე, რამაც გადაწყვიტა კიდეც პარტიის ბედი.

ბივი ბამრეკელი

## ფაქტი ჯიუტია!

# ჩემპიონი ხელოვნური გულით

„რბენის კარნავალი“ — ასე უწოდებენ ჟურნალისტები ამ ტრადიციულ ასპარეზობას. ამჯერად იგი (რიგით მეხუთე) მოსკოვის 850 წლის იუბილეს მიეძღვნა. შეჯიბრებაში ეგრეთწოდებული „ნახევრადმარათონელები“ გამოდიოდნენ. საქმე ისაა, რომ ასპარეზობის დისტანცია მარათონული რბენის ზუსტად ნახევარს შეადგენდა — 21 კილომეტრი და 98 მეტრი. ყველაზე გამძლენი ირინა საფაროვა (ორენბურგი) და ფარიდ ჰაინულინი (მოსკოვი) იყვნენ. მაგრამ ყველა მაინც მოსკოველმა გულია ახმადულინამ გააოცა. საქმე ისაა, რომ მას ხელოვნური გული აქვს. მიუხედავად ამისა, გულიას ტოლი არ ჰყავდა 5-მილიან დისტანციაზე.

# ფორმულა-1: ამჯერად შუმახერის უპირატესობით

მსოფლიო ჩემპიონატის მეხუთე ეტაპი – მონაკოს „დიდი პრიზი“ დიდად ფასობს მრბოლთა სამყაროში. ვიწრო, დაკლაკნილი ქუჩები მოუხერხებელია მანქანების



მიხაილ შუმახერი

საჭირითოდ და ამიტომ პილოტები განსაკუთრებით ემზადებიან ამ ეტაპისათვის.

მონტე-კარლოს ტრასის დისტანცია 62 წრეს (208, 74 კმ) შეადგენდა. საუკეთესო შედეგი აქ მიხაელ შუმახერს ჰქონდა 2:00.05, 654 (104, 264 კმ/სთ); 10 ქულა. მან 109-ე გამარჯვება მოუტანა „ფერარის“. მომდევნო ადგილები მოიპოვეს ბარიჩელომ („სტიუარტ-ფორდი“) - 2.00. 58, 960; 6 ქულა და ირვინმა („ფერარი“) - 2:01.27,762; 4 ქულა.

მსოფლიო ჩემპიონატის ხუთივე ეტაპის ჯამში პირად პირველობაში ასეთი მდგომარეობაა: მ. შუმახერი - 24 ქულა, ვილნევი - 20, ირვინი - 14. გუნდურ პირველობაში კი დამაჯერებლად ლიდერობს „ფერარი“ - 38 ქულა, შემდეგ მოდიან „უილიამს-რენო“ - 30, „მაკლარენ-მერსედესი“ - 20.



# ნბა: პლეი-ოფში კვლავ ჯორდანი ბრწყინავს

პლეი-ოფების მეორე წრეში, რომელიც ოთხ მოგებამდე მიმდინარეობს, კვლავ შეუდარებელია „ხარების“ ვარსკვლავი მაიკლ ჯორდანი. აღსანიშნავია, მხოლოდ ბოლო ორ მატჩში, „ჩიკაგომ“ სტუმრად ატლანტაში რომ ჩაატარა, ამ კალათბურთელმა 48 ქულა დააგროვა.

**აღმოსავლეთი კონფერენცია**

ჩიკაგო – ატლანტა 3:1 (100:97, 95:103, 100:80, 89:80).

მაიამი – ნიუ-იორკი 1:2 (79:88, 88:84, 73:77).

**დასავლეთი კონფერენცია**

იუტა – ლეიკერსი 3:1 (93:77, 103:101, 110:95, 84:104)

სიეთლი – ჰიუსტონი 1:3 (112:102, 98:99, 101:106, 93:97)

## საჭადრაკო ამოცანა

უშანგი ჯანგირაშვილი (ბორჯომი)
რეზო მარცვალაშვილი (ჩარგალი)



**შამათი 2 სვლაში**

„ლელოს“ 37-ე ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ეტიუდის ამოხსნა: 1. c3!

1. ...მფc3 2. კe5X.

1. ...მფe3 2. ლf2X.

1. ...d2 2. ლ:d2X.

## „სპორტლოტოს“ შედეგები



11 მაისს გაიმართა ლატარია „სპორტლოტო 5-36“ — დან გათამაშების მე-19 ტირაჟი.

დაშვებული იყო 8509 ვარიანტი. მოგებახვედრილი ციფრები: 4, 1, 20, 7, 25. ხუთი ციფრი ვერავინ ამოიცნო, 4 ციფრის ამოცნობისათვის (3 ვარიანტი) — 106,40. სამი ციფრისათვის (125 ვარიანტი) — 3.40 ლარი. მოგებები განაღდდება 14 მაისიდან 13 ივნისის ჩათვლით.

მორიგი, მე-20 ტირაჟი გაიმართება 18 მაისს. ამ ტირაჟისათვის „ჯეკპოტი“ შეადგენს 8933 ლარს, ამასთან, გამარჯვებულს ელოდება გერმანიაში მოგზაურობა.

„სპორტპროგნოზის“ მოყვარულებს ვაცნობებთ, რომ „სპორტლოტოს“ მე-19 ტირაჟის ტელეტრანსლაციისას, ინგლისი — საქართველოს მატჩის ანგარიშის ამომცნობთა შორის, ბილეთების ნომრების მიხედვით გაიმართა პრიზების გათამაშება, სადაც მაგნიტოფონი „სანნი“ წილად ხვდა ბილეთს №005 076, ფარი „კომბაინი ბილეთს №008898, ხოლო თერმოსი „მილტონი“ ბილეთს №008 826. „სპორტპროგნოზის“ მორიგი მე-14 ტირაჟი გაიმართება 18 მაისს.

**პროგრამაშია იტალიისა და ესპანეთის ჩემპიონატების მატჩები:**

იტალიის ჩემპიონატი (31-ე ტური)

1. ლაციო — ნაპოლი
2. პარმა — მილანი

ესპანეთის ჩემპიონატი (38-ე ტური)

3. სელტა — ბარსელონა
4. რეალი (სოსიედადი) — ატლეტიკო (მადრიდი)

ბილეთების „ბ“ ნაწილების ჩაბარების ბოლო ვადაა: რეგიონებში — 15 მაისი, თბილისში — 16 მაისის 12 საათამდე.

გიწვევთ ტრადიციული სპორტული ლატარიების გათამაშებაში.

წარმატება მხოლოდ თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული.

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

**იყიდება ვაკეში (პარკთან) ოროთახიანი ბინა-ტელეფონით. მანქანის სადგომით 6 სართულიანი სახლის III სართულზე. ჭერი – 320 სმ. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-29-76. ნინო.**

**აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტი და სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ საქართველოს საბჭო თანაგრძნობას უცხადებენ აფხაზეთის „შევარდენის“ თავმჯდომარეს შალვა მიქელაძეს ბიძაშვილის**

**ლევან ბარდაფხაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**პანაშვიდი 14.V 17 სთ. დაკრძალვა 15.V 15 სთ. მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის, 41.**

**გაზეთ „ლელოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ფოტოჟურნალისტი, საქინფორმის თანამშრომელი**

**ბივი კიკვაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# კროსვორდი



**თარაზულად:** 2. ბრაზილიელი ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი, 6. „ვითას“ კალათბურთელი, 8. დიდი შეჯიბრება ნავებით, 12. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, ოლიმპიური ჩემპიონი, 13. არგენტინის ნაკრების ფეხბურთელი 60-იან წლებში, 14. „ბარსელონას“ ფეხბურთელი, 15. „ბოკა ხუნიორსის“ თავდამსხმელი, 17. კენიელი მძლეოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი, 19. გერმანიის ნაკრების ფორვარდი, 23. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი, 24. „იუვენტუსისა“ და საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი, 25. ცნობილი გერმანელი ჩოგბურთელი ვაჟი, 26. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 30. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 31. რუსი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, ოლიმპიური ჩემპიონი, 32. ამერიკელი მძლეოსანი, ოთხი ოლიმპიადის ჩემპიონი, 33. ცნობილი უკრაინელი ჰოკეით მხტომელი, ოლიმპიური ჩემპიონი, 35. ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელი 80-იან წლებში, 37. „იუვენტუსისა“ და იტალიის ნაკრების ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 41. წარსულში ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 43. სახელგანთქმული რუსი ფეხბურთელი, მეკარე, 44. ამერიკული კალათბურთის ვარსკვლავი.

**შვეულად:** 1. ინგლისელი ფეხბურთელი, მცველი, მსოფლიოს ჩემპიონი, 2. „ინტერისა“ და იტალიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, 3. ამერიკელი მძლეოსანი, ზაფხულის XI ოლიმპიური თამაშების გმირი, 4. „ბარსელონას“ ფეხბურთელი, 5. სპორტული შეჯიბრების დასაწყისი, 7. ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი ფეხბურთში, 8. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი, 10. არგენტინელი ავტომრბოლელი, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, 15. ცურვის სტილი, 16. საბერძნეთის სპორტული კლუბი, 17. გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი, ფორვარდი, 18. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 19. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 20. სამშვილდოსნო ინვენტარი, 28. ამერიკელი მძლეოსანი, XIX ოლიმპიადის ჩემპიონი, 33. წარსულში ცნობილი ბულგარელი ფეხბურთელი, 34. ფრანგი ავტომრბოლელი, 35. გერმანელი ფეხბურთელი, 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 36. „ფორტუნას“ რუსი ფეხბურთელი, ფორვარდი, 37. მადრიდის „რეალის“ საფეხბურთო მწვრთნელი, 38. წარსულში ცნობილი გერმანელი მოცურავე ქალი, 42. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი.

**დიაგონალურად:** 9-21. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 22-11. წარსულში ცნობილი იუგოსლაველი კალათბურთელი, 39-27. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 29-40. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში, ამერიკელი.

შეადგინა ბიძინა წირქვაძემ (თბილისი)

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საფეხბურთო კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ნემსაძე, 5. ოვერატი, 8. როშტო, 10. ბრანკა, 13. იურანი, 15. „ამიცა“, 16. პლატინი, 18. ტიტკოში, 24. უვაროვი, 25. აპოლონი, 26. ერერა, 30. თავაძე, 32. იტალია, 33. „არისი“, 34. ბარქაია, 36. გაბელია.

**შვეულად:** 2. ელბერი, 3. ძენგა, 6. ვიალი, 7. ტიგანა, 9. შარპი, 11. „ნანტი“, 14. რეშკო, 16. პინტუ, 17. იარნი, 18. ტაპია, 19. იონკი, 21. „ბრედა“, 23. „სლიმა“, 27. ეკერლი, 28. მაცოლა, 29. მიშელი, 31. ეკაკი, 32. იბორა.

**დიაგონალურად:** 4-12. შირეა, 4-13 შიონი, 12-20 ალამი, 12-20 ივანი, 22-31. ბრემე, 22-32 ბლანი, 31-35 ერაყი, 32-35. ილინი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე